მმართველობის ანგარიშგება

ქრიმ ფინანს ჯეორჯია ჯგუფი

CREAM FINANCE

creditOn.ge

ჩვენ ვხდით ფულს ხელმისაწვდომს!

2019 წელი

T: +995 32 254 58 45
T: +995 32 218 81 88
@ bdo@bdo.ge
www.bdo.ge

ი. თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0179 თბილისი
საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

„ქრიმ ფინანს ჯეორჯია ჯგუფის" დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2020 წლის 6 მარტს. აუდიტირებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებული სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენს მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2019 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.
- ჯგუფის ყველა შვილობილი საწარმო არაარსებითია როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლივად და სხვაობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებებს შორის ასევე არის არაარსებითი.



ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს" სახელით

13 ოქტომბერი 2020

შპს ბიდიო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

შინაარსი

მმართველობის ანგარიშგება....4

მმართველობის ანგარიშგების წარმდგენი სუბიექტის შესახებ ინფორმაცია....4

საქმიანობის მიმოხილვა....5

ჯგუფის ძირითადი მაჩვენებლების მიმოხილვა....6

აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება....7

პორტფელის ანალიზი....10

ჯგუფის სამომავლო განვითარების გეგმები....11

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა....11

სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციონირების მიმოხილვა....11

კვლევები და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებები....13

ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ....13

დასაქმების საკითხები....13

გუნდი....13

უსაფრთხოება და ჯანსაღი გარემო სამუშაო ადგილზე....13

კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკები და გაურკვევლობა....14

საკრედიტო, საბაზრო და სხვა რისკების მიმოხილვა....16

საკრედიტო რისკი....16

სავალუტო რისკი....17

საოპერაციო რისკი....17

აუდიტორის საზღაური....18

ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენაზე პასუხისმგებელი პირები....18

მმართველობის ანგარიშგება

2016 წლის 8 ივნისს საქართველოს პარლამენტმა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი მიიღო, რომლის მიზანს ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნა და ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ევროკავშირის აქტებთან დაახლოება წარმოადგენს. კანონმა მმართველობის ანგარიშგების მომზადებისა და წარმოდგენაზე ახალი სამართლებრივი მოთხოვნები შემოიღო. კანონის მოთხოვნები ანგარიშგებების წარმოდგენასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი დაინტერესების პირებს, პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოებზე ვრცელდება.

მმართველობის ანგარიშგების წარმდგენი სუბიექტის შესახებ ინფორმაცია

წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია შპს მისო ქრიმ ფინანს ჯეორჯიასა (დედა კომპანია) და მისი შვილობილი კომპანიისთვის (შემდგომში, ერთდროულად „ჯგუფი” ან „ქრიმ ფინანს ჯეორჯია ჯგუფი“) 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის.

საფირმო სახელწოდება: შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ქრიმ ფინანს ჯეორჯია (დედა კომპანია)

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო ნომერი: 412695891

რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 22/01/2014

მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, დოლიძის ქ. N5ა

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა: ალექსანდრე ლომაძე (პ/ნ 01011010236)

პარტნიორი/მესაკუთრე: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ქრიმ ფაინანს ჰოლდინგი (რეგისტრაციის ქვეყანა: კვიპროსი) – 100% წილის მფლობელი.

შვილობილი კომპანია - შვილობილი კომპანია შპს კრედიტონი დაარსდა 2016 წლის ბოლოს. 2019 და 2018 წლების განმავლობაში შვილობილ კომპანიას არ განუხორციელებია ოპერაცია, ხოლო 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შვილობილის ერთადერთი ოპერაცია იყო საწესდებო კაპიტალის შემცირება.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ქრიმ ფინანს ჯეორჯია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ 2014 ლის 22 იანვარს დაარეგისტრირა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად, ხოლო 2017 წლის 8 სექტემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის განკარგულებით N795, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის

პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 7 თებერვლის N33/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის და ამავე წესის მე-2 მუხლის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზოდენტის 2017 წლის 20 ივნისის N91/04 ბრძანებების საფუძველზე დარეგისტრირდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციად და მიენიჭა სარეგისტრაციო ნომერი 1280917.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მუხლი 2, ნაწილი 1, ქვეპუნქტი ყ განსაზღვრავს საზოგადოებრივი დაინტერესების პირებს, მათ შორის არის მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. შესაბამისად, ქრიმ ფინანს ჯეორჯია ჯგუფი წარმოადგენს საზოგადოებრივი დაინტერესების პირს და კანონის მოთხოვნის შესაბამისად წარმოგიდგენთ მმართველობის ანგარიშგებას.

საქმიანობის მიმოხილვა

ქრიმ ფინანს ჯეორჯია ჯგუფი ხუთ წელზე მეტია მოღვაწეობს საქართველოს ფინანსურ ბაზარზე. ორგანიზაციამ აქტიური საქმიანობა დაიწყო 2014 წელს და დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა, როგორც სწრაფად მზარდი, განვითარებაზე ორიენტირებული, ფინანსურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ კომპანიად ფინანსურ სექტორში. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100 % მფლობელია Cream Finance Holding LTD, რომელიც საქმიანობს მსოფლიო ბაზარზე, წარმოდგენილია ევროპისა (ლატვია, პოლონეთი, დანია, ჩეხეთის რესპუბლიკა და ესპანეთი) და სამხრეთ ამერიკის (მექსიკა) ბაზრებზე და მომხმარებლებს აწვდის ფინანსურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ მომსახურებას.

2014 წელს ქრიმ ფინანს ჯეორჯია ჯგუფი ერთ-ერთი პირველი იყო საქართველოში მათ შორის ვინც ფინანსურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ სერვისების მიწოდება დაიწყო ქართველი მომხმარებლისათვის და არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხები გასცა ინტერნეტის გამოყენებით.

მომხმარებლებს საშუალება ჰქონდათ ესარგებლათ კომპანიის 2 ტიპის პროდუქტით, გრძელვადიანი სესხი 2 წლამდე ვადით და ერთწლიანი საკრედიტო ხაზით, ორივე პროდუქტი განეკუთნება გრძელვადიან არაუზრუნველყოფილ სამომხმარებლო სესხის კლასს. მომხმარებლებისათვის შეთავაზებულია სესხის მოქნილი პირობები, სესხის გაცემა ხდება უმოკლეს ვადაში (საშუალო დრო 15 წთ.), საბანკო გადარიცხვით, კლიენტს დისტანციური იდენტიფიკაციით.

ქრიმ ფინანს ჯეორჯია ჯგუფმა 2018 წლის მეორე ნახევრიდან შეწყვიტა მოკლევადიანი სესხების გაცემა და სრულად გადაერთო გრძელვადიანი არაუზრუნველყოფილ სამომხმარებლო სესხებზე. გაცემული სესხები მოცულობა ერთწლიანი საკრედიტო ხაზის შემთხვევაში მაქსიმუმ 3,000 ლარს აღწევს, ხოლო გრძელვადიანი სესხის შემთხვევაში 10,000 ლარს 2 წლამდე ვადით. 2019 წლის ოქტობრიდან კი შეწყდა გრძელვადიანი სესხების გაცემაც.

ჯგუფის ძირითადი მაჩვენებლების მიმოხილვა

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქრიმ ფინანს ჯეორჯია ჯგუფი აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის ბრძანება №143/04-ის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესით განსაზღვრულ ეკონომიკურ ნორმატივებსა და ლიმიტებს.

დასახელება	ზღვარი	მაჩვენებელი
კკ (საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი)	18%	50.8%
ლკ – (ლიკვიდობის კოეფიციენტი)	18%	42.5%
ქიკ (ქონებრივი ინვესტიციების კოეფიციენტი)	40%	-1.3%
იკ (ინვესტიციების კოეფიციენტი)	15%	0.0%
ისკ (ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტი)	15%	0.0%
დაკ – (დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი)	90%	0.0%

აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრისთვის

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,008,629	3,952,716
გაცემული სესხები	6,175,755	19,093,196
ძირითადი საშუალებები	5,361	12,047
სხვა აქტივები	216,802	16,428
საგადასახადო აქტივი	-	153,522
გადავადებული საგადასახადო აქტივი	-	194,790
მთლიანი აქტივები	**7,406,547**	**23,422,699**
ვალდებულებები		
მიღებული სესხები	1,537,464	16,660,618
სუბორდინირებული სესხები	4,417,617	4,035,271
სხვა ვალდებულებები	1,808,811	3,333,860
საგადასახადო ვალდებულება	10,084	-
მთლიანი ვალდებულებები	**7,773,976**	**24,029,749**
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	5,373,064	4,000,000
დაგროვილი ზარალი	(5,740,493)	(4,607,050)
მთლიანი კაპიტალი	**(367,429)**	**(607,050)**
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი	**7,406,547**	**23,422,699**

ქრიმ ფინანს ჯეორჯია ჯგუფის ჯამური აქტივები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2018 წლის 31 დეკემბერთან შედარებით შემცირებულია 16,016,152 ლარით. წმინდა პორტფელის მოცულობა კი 12,917,441 ლარით.

რეგულაციების სწრაფი ცვლილების გამო ქრიმ ფინანს ჯეორჯია ჯგუფის რისკები გაიზარდა, რის საპასუხოდაც დედა კომპანიამ გაზარდა მხარდაჭერა და 2019 წლის განმავლობაში მოხდა 1,373,064 ლარის დედა კომპანიის მიმართ არსებული სასესხო ვალდებულებების კაპიტალში კონვერტირება. საერთო ჯამში 2019 წლის განმავლობაში ვალდებულებები შემცირდა 16,255,773 ლარით.

სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

	2019	2018
საპროცენტო შემოსავალი	6,298,387	12,162,982
საპროცენტო ხარჯი	(1,898,684)	(2,757,414)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებამდე	**4,399,703**	**9,405,568**
სესხების გაუფასურების ხარჯი	(1,999,102)	(6,210,829)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**2,400,601**	**3,194,739**
სხვა შემოსავალი	133,185	464,072
კომერციული ხარჯები	(100,446)	(542,567)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(1,039,787)	(1,254,183)
საერთო ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(1,465,469)	(2,093,587)
გაუფასურებული სესხების გაყიდვიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	(558,058)	65,607
წმინდა მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	(308,679)	466,909
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	**(938,653)**	**300,990**
მოგების გადასახადის ხარჯი	(194,790)	(1,384,301)
მთლიანი სრული ზარალი	**(1,133,443)**	**(1,083,311)**

2017 წლის 15 იანვრიდან ძალაში შევიდა წლიური მაქსიმალური საპროცენტო შეზღუდვა, რომელმაც შეამცირა კომპანიის მომგებიანობა და შედეგად წელი დასრულდა ზარალით. ახალი რეგულაციები პირობებში მოხდა ქრიმ ფინანს ჯეორჯია ჯგუფის ბიზნეს მოდელის ეტაპობრივი ცვლილება და საბოლოოდ 2018 წლის ბოლოს ზარალი შემცირებულია საგრძნობლად. ჯგუფმა ეტაპობრივად მოახდინა უარყოფითი მომგებიანობის ტრენდის შეცვლა, თუმცა 2018 წლის 1 სექტემბრიდან მაქსიმალური წლიური საპროცენტო განაკვეთის შეზღუდვა შემცირდა ეფექტური 100%-იდან ეფექტურ 50%-მდე, რაც ზრდის ჯგუფის წინაშე არსებულ რისკებს და აჩენს ახალი გამოწვევებს.

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
2017 წლის 31 დეკემბერი	**250,000**	**(2,126,890)**	**(1,876,890)**
სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება - ფასს 9	-	(1,396,849)	**(1,396,849)**
2018 წლის 1 იანვარი - გადაანგარიშებული	**250,000**	**(3,523,739)**	**(3,273,739)**
საწესდებო კაპიტალის ზრდა:			
- ფულადი შენატანით	250,000	-	**250,000**
- სესხის კონვერტირებით	3,500,000	-	**3,500,000**
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(1,083,311)	**(1,083,311)**
2018 წლის 31 დეკემბერი	**4,000,000**	**(4,607,050)**	**(607,050)**
საწესდებო კაპიტალის ზრდა:			
- ფულადი შენატანით	1,373,064	-	**1,373,064**
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(1,133,443)	**(1,133,443)**
2019 წლის 31 დეკემბერი	**5,373,064**	**(5,740,493)**	**(367,429)**

2018 წლის 1 სექტემბრიდან ძალაში შევიდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესი, რომლიც განსაზღვრავს სხვადასხვა ეკონომიკურ ნორმატივებსა და ლიმიტებს, მათ შორის არის კაპიტალის კოეფიციენტი, რომელიც საწყის ეტაპზე იმ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის, რომელთა ფიზიკური და არასაფინანსო იურიდიული პირებისგან მოზიდული სახსრები აღემატება საზედამხედველო კაპიტალის 50%-ს - 24%-ით განისაზღვრა. არსებულ სიტუაციაში დედა კომპანიამ სრული მხარდაჭერა გამოუცხადა ქრიმ ფინანს ჯეორჯია ჯგუფს და მოახდინა 2018-ში 3,500,000 ლარის სასესხო ვალდებულებების კაპიტალში კონვერტირება და 2019-ში 1,373,064 ლარით კაპიტალის ზრდა, რითაც გააუმჯობესა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და მოხდა ეროვნული ბანკის ეკონომიკური ლიმიტებისა და ლიმიტების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

პორტფელის ანალიზი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქრიმ ფინანს ჯეორჯია ჯგუფის სასესხო პორტფელი სესხის ტიპის მიხედვით შემდეგნაირია:



მთლიანი პორთფელის მოცულობაა 11,751,705 ლარია, საიდანაც დარეზევებულია 5,575,950 ლარი, შესაბამისად წმინდა პორთფელი 6,175,755 ლარია.

ქრიმ ფინანს ჯეორჯია ჯგუფის მნიშვნელოვანი ფინანსური კოეფიციენტებია:

1. 2019 წლის წმინდა **საპროცენტო შემოსავლის კოეფიციენტი** 69,85%-ია, რაც 2018 წლის კოეფიციენტთან შედარებით 7,48%-ითაა შემცირებული (წმინდა საპროცენტო შემოსავლები შეფარდებული მთლიან საპროცენტო შემოსავლებთან);

2. **მოგება/ზარალი გადასახადებამდე** (PBT) 2019 წელს -938,653 ლარია, რაც 2018 წლის მონაცემზე 1,239,643 ლარით ნაკლებია. მოგება/ზარალი გადასახადებამდე კოეფიციენტი 2019 წლისათვის -14,90%-ია (მოგება/ზარალი გადასახადებამდე შეფარდებული მთლიან საპროცენტო შემოსავლებთან);

3. **წმინდა მოგების კოეფიციენტი** 2019 წლისათვის -18%-ია, წლის ზარალით დასრულების გამო, (წმინდა მოგება შეფარდებული საპროცენტო შემოსავლებთან);

4. **მიმდინარე სასესხო ვალდებულების თანაფარდობა საწესდებო კაპიტალთან** 1.1-ის ტოლია, პერიოდის ბოლოს მთლიანი სასესხო ვალდებულებები 5,955,081 ლარია (მათ შორის სუბორდინირებული სასესხო ვალდებულება), ხოლო საწესდებო კაპიტალი 5,373,064 ლარია;

5. **მიმდინარე სასესხო ვალდებულების თანაფარდობა მთლიან კაპიტალთა**ნ უარყოფითია, რადგან მთლიანი კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით -367,429 ლარის ტოლია.

ჯგუფის სამომავლო განვითარების გეგმები

2018 წლის 1 სექტემბერს შემცირებული მაქსიმალური წლიური საპროცენტო განაკვეთის გამო ქრიმ ფინანს ჯეორჯია ჯგუფი კიდევ ერთხელ დადგა გამოწვევის წინაშე, აუცილებელია ბიზნეს მოდელის კიდევ ერთხელ შეცვლა და მაქსიმალურად დაბალრისკიანია კლიენტების დაკრედიტება, რაც ფაქტიურად ნიშნავს ისეთი დიდი ფინანსური ინსტიტუტების კონკურენტობას, როგორებიც არიან ბანკები. ამასთან 2019 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულება, რამაც კიდევ უფრო გაართულა სესხის გაცემა და შეამცირა მომხმარებელთა რაოდენობა.

2019 წლის განმავლობაში ჯგუფი ცდილობდა მოეხდინა ადაპტირება ბაზრის შეცვლილ კონფიგურაციაზე, თუმცა 3 კვარტლის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით გადაწყდა სესხების გაცემის შეწყვეტა და არსებული პორტფელების ამოღებაზე გადასვლა.

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქრიმ ფინანს ჯეორჯია ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან:

1. მატის ანსვიესულის - სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე

2. იანის პელსს - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

3. პატრიკ კოექ - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციონირების მიმოხილვა

სამეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავჯდომარეს. თავჯდომარე იწვევს სხდომებს და განსაზღვრავს დღის წესრიგს, ადგენს სხდომის ოქმს თავად ან სხდომის მდივნის დახმარებით. ქრიმ ფინანს ჯეორჯია ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება მინიმუმ კვარტალში ერთხელ. წევრების მოწვევა ხდება 8 დღით ადრე სავარაუდო დღის წესრიგით, წევრებს

უფლება აქვთ სურვილის შემთხვევაში მათ ნაცვლად უფლებამოსილი წარმომადგენლით დაასწრონ სხდომას, ან ჩაერთონ ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებით.

სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილების უნარიანია თუ მას ესწრება სულ მცირე ნახევარი. იმ შემთხვევაში თუ საბჭო არაა გადაწყვეტილების უნარიანი თავჯდომარე უფლებამოსილია არაუგვიანეს 8 დღისა მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადაწყვეტილების უნარიანი იქნება. თუ ამის შემდეგაც საბჭო არ იქნება გადაწყვეტილების უნარიანი, თავმჯდომარე იწვევს პარტნიორთა კრებას.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. ხმათა გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავჯდომარის ხმა.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის მოწვევა არ გახდება საჭირო თუ ყველა წევრი გაუგზავნის თავჯდომარეს თავის წერილობით თანხმობას ან/და დააფიქსირებს თავის ხმას სხდომის დღის წესრიგის ყოველ საკითხთან მიმართებაში.

სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენციები მოიცავს:

1. სამეთვალყურეო საბჭო კონტროლს უწევს თითოეული დირექტორის საქმიანობას;
2. სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს დირექტორისაგან საზოგადოების საქმიანობის ანგარიში;
3. სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია გააკონტროლოს და შეამოწმოს საზოგადოების ფინანსური დოკუმენტაცია, ასევე ქონებრივი ობიექტები. მას შეუძლია ეს დაავალოს ცალკეულ წევრებს ან განსაზღვრულ ექსპერტებს;
4. სამეთვალყურეო საბჭო იწვევს პარტნიორთა კრებას, თუ ამას საზოგადოების აუცილებლობა მოითხოვს;
5. სამეთვალყურეო საბჭო ამოწმებს წლიურ ანგარიშებს, მოგების განაწილების წინადადებას და ამის თაობაზე მოახსენებს პარტნიორთა კრებას; ცნობაში სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მიუთითოს, თუ როგორ და რა მოცულობით შეამოწმა მან საზოგადოების ხელმძღვანელობა გასული სამეურნეო წლის განმავლობაში, წლიური ანგარიში და საქმიანობის ანგარიშის რომელი ნაწილი შეამოწმა და გამოიწვია თუ არა ამ შემოწმებებმა საბოლოო შედეგების არსებითი ცვლილებები;
6. სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს და ნიბისმიერ დროს გამოიწვევს დირექტორებს, ასევე მათთან დებს და წყვეტს ხელშეკრულებებს.

კვლევები და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებები

ქრიმ ფინანს ჯეორჯია ჯგუფს 2019 წლის მდგომარეობით არ ჩაუტარებია კვლევები და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

ქრიმ ფინანს ჯეორჯია ჯგუფს აქვს მხოლოდ ერთი სათაო ოფისი, რომლის მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, დოლიძის ქ. N5ა. აღნიშნული ოფისი არ გამოიყენება კლიენტებისათვის სერვისის გასაწევად, მხოლოდ ადმინისტრაციული დანიშნულება აქვს.

დასაქმების საკითხები

გუნდი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქრიმ ფინანს ჯეორჯია ჯგუფში დასაქმებულია 19 თანამშრომელი. თანამშრომლების მიღება ხდება გასაუბრებით, ყველა კანდიდატი საბოლოო გასაუბრების ეტაპზე წარმოადგენს ნასამართლეობის ცნობას, მათი კვალიფიკაციიდან გამომდინარე ხდება 3 თვიანი გამოსაცდელი ანაზღაურებადი პერიოდი, ამ სამი თვის წარმატებით გავლის შემთხვევაში იდება ძირითადი დასაქმების ხელშეკრულება. ჯგუფის საქმიანობისათვის დიდ მნიშვნელობა ენიჭება ადამიანური რესურსს, მუდმივად ხდება მათი გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, ძირითადად შიდა ტრეინინგების ხარჯზე. თანამშრომლების ეფექტური და წარმატებული შრომისათვის მაქსიმალურად კომფორტული გარემოა შექმნილი.

უსაფრთხოება და ჯანსაღი გარემო სამუშაო ადგილზე

კანონმდებლობის შესაბამისად კომპანიაში დაცულია უსაფრთხოების სტანდარტები, რათა თანამშრომლებისათვის შეიქმნას შრომისათვის უსაფრთხო გარემო. ჯგუფის ოფისში მოწყობილია ვიდეო მონიტორინგის და სიგნალიზაციის სისტემები. შენობის ყველა სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრები და შენობის საევაკუაციო გეგმა. ყველა თანამშრომელი დატრეინინგებულია თუ როგორ უნდა მოიქცეს სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ სიტუაციაში.

ჯგუფი თავისი ხარჯით უზრუნველყოფს ყველა თანამშრომლის ჯანმრთელობის, სამოგზაურო და სიცოცხლის დაზღვევას.

ქრიმ ფინანს ჯეორჯია ჯგუფი Green Business Bureau (GBB)-ს წევრია და მაქსიმალურად ცდილობს დანერგოს მათი მწვანე ინიციატივები.

ყოველივე ზემოთ ხსენებული უზრუნველყოფს თანამშრომლების დაცულ და უსაფრთხო გარემოში შრომას და დადებითად აისახება მათ ჯანმრთელობასა და შრომის ნაყოფიერებაზე.

კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკები და გაურკვევლობა

ქრიმ ფინანს ჯეორჯია ჯგუფი რეგისტრირებული და ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტია, რომელიც რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. თუ ჯგუფი ვერ შეძლებს მისი ოპერაციების მარეგულირებელი კანონებისა და რეგულაციების მუდმივ შესაბამისობას, ან მარეგულირებლის მიერ მოთხოვნილი კოეფიციენტების დაკმაყოფილებას, ან საგადასახადო ინსპექციისას აღმოჩნდება მნიშვნელოვანი დარღვევა, ჯგუფს შეიძლება დაეკისროს დიდი ოდენობით ჯარიმა საურავები ან გატარდეს უფრო მკაცრი სანქციები, მათ შორის ესეთი სანქციად შესაძლებელია მარეგულირებლის მიერ გამოყენებული იყოს მნიშვნელოვანი ოპერაციების შეწყვეტა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციად რეგისტრაციის შეჩერება ან გაუქმება.

ყველა სესხის გამცემი ორგანიზაცია და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მოექცა გამკაცრებულ საკანონმდებლო ჩარჩოში, შესაძლებელია წლიური საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვრის შემოღებამ მნიშვნელოვნად გაუარესოს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ხოლო ახალმა რეგულაციების მოთხოვნებმა მნიშვნელოვნად გაზარდოს ადმინისტრაციული დანახარჯები.

ამ ეტაპზე მიკროსაფინანსო ორგანიზაციები რეგულირებისათვის ეროვნული ბანკი იყენებს ე.წ „მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმს“, რომელიც მოიცავს სხვადასხვა კოეფიციენტების დაკმაყოფილების მოთხოვნასაც, რომელიც „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №143/04-ის მუხლი 5, ეკონომიკური ნორმატივები და ლიმიტებით არის განსაზღვრული.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის დადგენილია შემდეგი ნორმატივები და ლიმიტები:

კკ (კაპიტალის კოეფიციენტი) – საზედამხედველო კაპიტალის თანაფარდობა დაქვითვის შემდგომ მთლიან აქტივებთან – 18%, ხოლო იმ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის, რომელთა ფიზიკური და არასაფინანსო იურიდიული პირებისგან მოზიდული სახსრები აღემატება საზედამხედველო კაპიტალის 50%-ს - 24%;

ლკ – (ლიკვიდობის კოეფიციენტი) საანგარიშგებო თვის საშუალო ლიკვიდური აქტივების საშუალო ვალდებულებებთან თანაფარდობა – 18%, ხოლო იმ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის, რომელთა

ფიზიკური და არასაფინანსო იურიდიული პირებისგან მოზიდული სახსრები აღემატება საზედამხედველო კაპიტალის 50%-ს - 25%;

იკ (ინვესტიციების კოეფიციენტი) – იურიდიული პირების საწესდებო კაპიტალში განხორციელებული წილების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალის 15%-ს;

ქკ (ქონებრივი ინვესტიციის კოეფიციენტი) – ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება და იურიდიულ პირთა კაპიტალში მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ინვესტიციების ჯამური თანხა არ უნდა აღემატებოდეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მთლიანი კაპიტალის 40%-ს;

ისკ (ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტი) – ყველა ინსაიდერის მიმართ არსებული მოთხოვნების ჯამური თანხა არ უნდა აღემატებოდეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საზედამხედველო კაპიტალის 15%-ს;

დაკ (დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი) – დაგირავებული ან/და იპოთეკით დატვირთული აქტივების მთლიან კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი არ უნდა აღემატებოდეს 90%-ს. გირავნობა/იპოთეკა უნდა განხორციელდეს იმ აქტივის მოცულობით, რის უზრუნველყოფასაც წარმოადგენს გირავნობის/იპოთეკის საგანი. აღნიშნული კოეფიციენტის გაანგარიშებაში არ მიიღებს მონაწილეობას აქტივების გადაფასების რეზერვი და ფულადი სახსრები, რომლებიც დაგირავებულია სვოპ ოპერაციის მიზნობრიობით.

ზემოთხსენებული ლიმიტების დარღვევის შემთხვევაში შესაძლებელია საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან გამოყენებული იქნას ჯარიმები და სანქციები, მათ შორის რეგისტრაციის შეჩერება ან გაუქმება.

2017 წლის 15 იანვარს შემოღებული წლიური საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვრის დაწესების შემდეგ რამდენიმე მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ შეწყვიტა საქმიანობა, ამის შემდეგ, 2018 წლის 1 სექტემბრიდან ზედა ზღვარი კვლავ შემცირდა და განისაზღვრა წლიური ეფექტური 100%-ით. ამის შემდეგ, 2018 წლის 1 სექტემბრიდან ზედა ზღვარი შემცირდა წლიური ეფექტური 50%-მდე. დამატებით, რეგულაციის გამკაცრების შემთხვევაში არსებობს რისკი, რომ ჯგუფმა შეწყვიტოს დარჩენილი ოპერაციებიც (არსებული სასესხო პორტფელის მომსახურება) და ვერ უზრუნველყოს გამკაცრებული მოთხოვნების დაკმაყოფილება.

საკრედიტო, საბაზრო და სხვა რისკების მიმოხილვა

ნებისმიერი ბიზნეს საქმიანობისათვის დამახასიათებელია რისკები, რომლის კონტროლი და მართვა ხდება მათი გამოვლენის, შეფასებისა და კონტროლის უწყვეტი პროცესით. ესეთი რისკების მართვას დიდ მნიშვნელობა აქვს კომპანიის მომავალი განვითარებისათვის. აღნიშნული რისკების გამოვლენა, შეფასება და კონტროლზე პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ისინი უშუალოდ არიან ჩართულები ამ მუდმივ პროცესში. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წარედგინება კონკრეტული პრობლემებისა და რისკების შესახებ რეპორტი, რის შემდგომაც ხდება გადაწყვეტილების მიღება ამ პრობლემების მოსაგვარებლად და რისკების სამართავად. ამ ეტაპზე ქრიმ ფინანს ჯეორჯია ჯგუფს აქვს საკრედიტო, ლიკვიდურობის, სავალუტო და ძირითადი საქმიანობისათვის დამახასიათებელი საოპერაციო რისკები.

საკრედიტო რისკი

ეს არის რისკი, რომელიც გულისხმობს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე მხარე ვერ შეძლებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებების შესრულებას. ესეთი ფაქტის დადგომის შემთხვევაში ზარალდება მეორე მხარე, ამ შემთხვევაში სესხის გამცემი. მიკროსაფინანსოსათვის საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა ტოლია გაცემული სესხების, დებიტორული დავალიანებებისა და წარმოებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულების. გამომდინარე იქიდან, რომ ქრიმ ფინანს ჯეორჯია ჯგუფს არ აქვს უზრუნველყოფილი სესხების პორტფელი აღნიშნული რისკების მართვა ვერ ხდება უზრუნველყოფით.

არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხის გაცემა ხდებოდა კლიენტის მიერ ვებ გვერდზე www.crediton.ge-ზე რეგისტრაციის შემდგომ განაცხადის შევსებით, ამ განაცხადის განიხილავა და ანალიზი ხდებოდა საკრედიტო განყოფილების მიერ. წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიით ხდებოდა კლიენტის საკრედიტო რისკის განსაზღვრა და თუ, კლიენტი აკმაყოფილებს ჯგუფის მიერ განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნებს მაინც ხდებოდა სესხის გაცემა საბანკო ტრანზაქციით.

კანონით განსაზღვრულია მინიმალური მოთხოვნები, თუ რას უნდა აკმაყოფილებდეს კლიენტი, რათა მოხდეს მისი დაკრედიტება. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №281/04, ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე განსაზღვრავს პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპებს.

ამ დებულებით განსაზღვრულია სესხის მომსახურების მაქსიმალური კოეფიციენტები დაგრძელვადიანებულ და საკონტრაქტო ვადიანობაზე, რომელიც შემდეგ ნაირად გამოიყურება.

ყოველთვიური წმინდა შემოსავალი, ლარი	არაჰეჯირებული მსესხებლებისთვის მაქსიმალურ/საკონტრაქტო ვადიანობაზე	ჰეჯირებული მსესხებლებისათვის მაქსიმალურ/საკონტრაქტო ვადიანობაზე
<1,000	20% / 25%	25% / 35%
>=1,000-2,000<		35% / 45%
>=2,000-4,000<	25% / 30%	45% / 55%
>=4,000	30% / 35%	50% / 60%

შენიშვნა 1: სესხის მომსახურების კოეფიციენტი მაქსიმალურ ვადიანობაზე დაითვლება როგორც ანუიტეტური გადახდები ამ დებულების პირველი მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ მაქსიმალურ ვადებზე.

შენიშვნა 2: ჰეჯირებული მსესხებლებისთვის განსაზღვრული კოეფიციენტები გავრცელდება ასევე მსესხებლებზე, რომლებსაც შემოსავლები აქვთ უცხოური ვალუტით, ხოლო სესხს იღებენ ლარით.

შენიშვნა 3: მულტისავალუტო სესხის შემთხვევაში, სესხის მომსახურების მაქსიმალურ დასაშვებ კოეფიციენტად გაითვალისწინება საშუალო შეწონილი კოეფიციენტები.

სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ვალდებულებების გამო, არსებობს სავალუტო რისკები. გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიის დაფინანსების ძირითადი წყარო არის ევროში და სესხები გაიცემა მხოლოდ ლარში, ვერ ხდება ამ რისკების შემცირება. არსებულ სიტუაციაში რისკების შესამცირებლად საჭიროა ეროვნული ვალუტაში სესხების მოზიდვა, შემდგომი ბიზნეს საქმიანობისათვის ან არსებული უცხოური ვალუტაში გამოხატული ვალდებულებების რეფინანსირებისათვის.

საოპერაციო რისკი

ესეთი რისკი შეიძლება იყოს სისტემის მწყობრიდან გამოსვლის რისკი, ადამიანური შეცდომისა ან თაღლითობის რისკი. როდესაც მსგავსი რისკების სწორად მართვა არ ხდება, შესაძლებელია ამან გამოიწვიოს ისეთი შედეგი რომელიც შემდეგ გამოხატულებას პოვებს რეპუტაციის შელახვაში ან ფინანსურ ზარალში. ესეთი რისკების სათანადო კონტროლის გარეშე შესაძლებელია აუცილებელი გახდეს სამართლებრივი დავის დაწყებაც. ესეთი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად მენეჯმენტი

მუდმივად ჩართულია რისკების მართვაში და იღებს გადაწყვეტილებებს, რომელიც ეხმარება კომპანიას შეამციროს და ეფექტურად მართოს მის წინაშე არსებული რისკები.

აუდიტორის საზღაური

2018 და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის ქრიმ ფინანს ჯეორჯია ჯგუფის აუდიტორის (შპს „ბიდიო“) ანაზღაურება შეადგენს

2018 წელს - 33,627.70 ლარს/12,390.00 ამერიკულ დოლარს (დღგ-ს ჩათვლით)

2019 წელს - 33,224.08 ლარს- /10,000.00 ამერიკულ დოლარს (დღგ-ს ჩათვლით)

ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენაზე პასუხისმგებელი პირები

ქრიმ ფინანს ჯეორჯია ჯგუფის 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 13 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი /ალექსანდრე ლომაძე/ (პ/ნ 01011010236)

მუდმივად ჩართულია რისკების მართვაში და იღებს გადაწყვეტილებებს, რომელიც ეხმარება კომპანიას შეამციროს და ეფექტურად მართოს მის წინაშე არსებული რისკები.

აუდიტორის საზღაური

2018 და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის ქრიმ ფინანს ჯეორჯია ჯგუფის აუდიტორის (შპს „ბიდიო“) ანაზღაურება შეადგენს

2018 წელს - 33,627.70 ლარს/12,390.00 ამერიკულ დოლარს (დღგ-ს ჩათვლით)

2019 წელს - 33,224.08 ლარს- /10,000.00 ამერიკულ დოლარს (დღგ-ს ჩათვლით)

ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენაზე პასუხისმგებელი პირები

ქრიმ ფინანს ჯეორჯია ჯგუფის 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 13 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი /ალექსანდრე ლომაძე/ (პ/ნ 01011010236)

ქრიმ ფინანს ჯეორჯია ჯგუფი

სპეციალური დანიშნულების

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა

2019 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 6

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 7

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ 8

სპეციალური დანიშნულების ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 9

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 10
2. მომზადების საფუძვლები 10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 11
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა 12
5. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები 18
6. წმინდა საპროცენტო შემოსავალი 18
7. სხვა შემოსავალი 19
8. კომერციული ხარჯები 19
9. ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი 19
10. საერთო ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები 19
11. გაუფასურებული სესხების გაყიდვიდან მიღებული მოგება/(ზარალი) 20
12. ფული და ფულის ეკვივალენტები 20
13. გაცემული სესხები 20
14. სხვა აქტივები 22
15. საგადასახადო აქტივი 22
16. გადასახადები 23
17. მიღებული სესხები 24
18. სხვა ვალდებულებები 25
19. საწესდებო კაპიტალი 26
20. პირობითი ვალდებულებები 26
21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 27
22. ბალანსის შემდგომი მოვლენები 28
23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 28

T: +995 32 254 58 45
T: +995 32 218 81 88
@ bdo@bdo.ge
www.bdo.ge

ი. თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0179 თბილისი
საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ქრიმ ფინანს ჯეორჯია ჯგუფის დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ **ქრიმ ფინანს ჯეორჯია ჯგუფის (შემდგომში - 'ჯგუფი')** თანდართული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და სპეციალური დანიშნულების ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია მე-2 შენიშვნაში გაშიფრული მომზადების საფუძვლების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე". ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს" მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის" მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებები

ფუნქციონირებადი საწარმო

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ 2019 წლის სექტემბრიდან ჯგუფმა შეწყვიტა სესხების გაცემა და ძირითადად ორიენტირებული იყო აღნიშნულ თარიღამდე გაცემული სესხების ამოღებაზე. როგორც მე-2 შენიშვნაშია აღნიშნული, ხელმძღვანელობა ჯგუფის ლიკვიდაციას გეგმავს 2021 წლის დასასრულს. შესაბამისად, ჯგუფი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებას არ ამზადებს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

შპს ბიდიო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი და დასკვნის გავრცელებისა და გამოყენების შეზღუდვა

ყურადღებას ვამახვილებთ სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, სადაც აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი. სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის დასახმარებლად, რათა დააკმაყოფილოს ადგილობრივი მარეგულირებელი ორგანოების მოთხოვნები. ამის გამო, წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიძლება არ იყოს შესაფერისი სხვა მიზნებისთვის. ჩვენი დასკვნა განკუთვნილია მხოლოდ ჯგუფისა და ადგილობრივი მარეგულირებელი ორგანოებისთვის და ის არ უნდა გავრცელდეს და არ უნდა გამოიყენონ სხვა მხარეებმა. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე მე-2 შენიშვნაში გაშიფრული საფუძვლების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

6 მარტი 2020

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

6 მარტი 2020

ქრიმ ფინანს ჯეორჯია ჯგუფი

სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
საპროცენტო შემოსავალი	6	6,298,387	12,162,982
საპროცენტო ხარჯი	6	(1,898,684)	(2,757,414)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებამდე		**4,399,703**	**9,405,568**
სესხების გაუფასურების ხარჯი	13	(1,999,102)	(6,210,829)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**2,400,601**	**3,194,739**
სხვა შემოსავალი	7	133,185	464,072
კომერციული ხარჯები	8	(100,446)	(542,567)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	9	(1,039,787)	(1,254,183)
საერთო ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	10	(1,465,469)	(2,093,587)
გაუფასურებული სესხების გაყიდვიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	11	(558,058)	65,607
წმინდა მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		(308,679)	466,909
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		**(938,653)**	**300,990**
მოგების გადასახადის ხარჯი	16	(194,790)	(1,384,301)
მთლიანი სრული ზარალი		**(1,133,443)**	**(1,083,311)**

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ხელმოწერილია 2020 წლის 6 მარტს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ ალექსანდრე ლომაძე

ფინანსური კონტროლიორი _____ ცოტნე ხვედელიძე

10-41 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ქრიმ ფინანს ჯეორჯია ჯგუფი

სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
საპროცენტო შემოსავალი	6	6,298,387	12,162,982
საპროცენტო ხარჯი	6	(1,898,684)	(2,757,414)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებამდე		**4,399,703**	**9,405,568**
სესხების გაუფასურების ხარჯი	13	(1,999,102)	(6,210,829)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**2,400,601**	**3,194,739**
სხვა შემოსავალი	7	133,185	464,072
კომერციული ხარჯები	8	(100,446)	(542,567)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	9	(1,039,787)	(1,254,183)
საერთო ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	10	(1,465,469)	(2,093,587)
გაუფასურებული სესხების გაყიდვიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	11	(558,058)	65,607
წმინდა მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		(308,679)	466,909
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		**(938,653)**	**300,990**
მოგების გადასახადის ხარჯი	16	(194,790)	(1,384,301)
მთლიანი სრული ზარალი		**(1,133,443)**	**(1,083,311)**

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ხელმოწერილია 2020 წლის 6 მარტს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ ალექსანდრე ლომაძე

ფინანსური კონტროლიორი _____ ცოტნე ხვედელიძე

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	1,008,629	3,952,716
გაცემული სესხები	13	6,175,755	19,093,196
ძირითადი საშუალებები		5,361	12,047
სხვა აქტივები	14	216,802	16,428
საგადასახადო აქტივი	15	-	153,522
გადავადებული საგადასახადო აქტივი	16	-	194,790
მთლიანი აქტივები		**7,406,547**	**23,422,699**
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	17	1,537,464	16,660,618
სუბორდინირებული სესხები	17	4,417,617	4,035,271
სხვა ვალდებულებები	18	1,808,811	3,333,860
საგადასახადო ვალდებულება	15	10,084	-
მთლიანი ვალდებულებები		**7,773,976**	**24,029,749**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	19	5,373,064	4,000,000
დაგროვილი ზარალი		(5,740,493)	(4,607,050)
მთლიანი კაპიტალი		**(367,429)**	**(607,050)**
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		**7,406,547**	**23,422,699**

10-41 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
2017 წლის 31 დეკემბერი	**250,000**	**(2,126,890)**	**(1,876,890)**
სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება - ფასს 9	-	(1,396,849)	**(1,396,849)**
2018 წლის 1 იანვარი - გადაანგარიშებული	**250,000**	**(3,523,739)**	**(3,273,739)**
საწესდებო კაპიტალის ზრდა:			
- ფულადი შენატანით	250,000	-	**250,000**
- სესხის კონვერტირებით	3,500,000	-	**3,500,000**
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(1,083,311)	**(1,083,311)**
2018 წლის 31 დეკემბერი	**4,000,000**	**(4,607,050)**	**(607,050)**
საწესდებო კაპიტალის ზრდა:			
- ფულადი შენატანით	1,373,064	-	**1,373,064**
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(1,133,443)	**(1,133,443)**
2019 წლის 31 დეკემბერი	**5,373,064**	**(5,740,493)**	**(367,429)**

10-41 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ქრიმ ფინანს ჯეორჯია ჯგუფი

სპეციალური დანიშნულების ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		**(938,653)**	**300,990**
კორექტირებები:			
სესხების გაუფასურების ხარჯი	13	1,999,102	6,210,829
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული წმინდა მოგება		(3,288)	-
დარიცხული პროცენტის წმინდა ცვლილება	6	(4,399,703)	(9,405,568)
ცვეთა და ამორტიზაცია		6,228	14,930
წმინდა (მოგება)/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		308,679	(466,909)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		**(3,027,635)**	**(3,345,728)**
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:			
კლიენტებზე გაცემული სესხები		11,782,753	(9,548,290)
სხვა აქტივები		(230,742)	(41,520)
საგადასახადო აქტივი		153,523	2,259,805
სხვა ვალდებულებები		(1,618,773)	1,418,055
საგადასახადო ვალდებულება		(37,069)	-
ფულადი ნაკადების შემოდინება/(გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან		**7,022,057**	**(9,257,678)**
მიღებული პროცენტი		5,433,973	11,433,769
გადახდილი პროცენტი		(1,703,508)	(1,488,203)
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		**10,752,522**	**687,888**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		-	(3,347)
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		**-**	**(3,347)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:			
წმინდა ცვლილება მიღებულ სესხებში		(15,017,624)	2,232,060
საწესდებო კაპიტალის ზრდა		1,373,064	250,000
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება/(გადინება) ფინანსური საქმიანობიდან		**(13,644,560)**	**2,482,060**
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		**(2,892,038)**	**3,166,601**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		3,952,716	747,910
გაცვლითი კურსის ცვლილების წმინდა ეფექტი უცხოურ ვალუტაში არსებულ ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(52,049)	38,205
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		**1,008,629**	**3,952,716**

10-41 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) ჯგუფი

წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს მისო ქრიმ ფინანს ჯეორჯიასა (დედა კომპანია) და მისი შვილობილი კომპანიისთვის (შემდგომში, ერთდროულად „ჯგუფი" ან „ქრიმ ფინანს ჯეორჯია ჯგუფი") 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის. შვილობილი კომპანია შპს კრედიტონი დაარსდა 2016 წლის ბოლოს. 2018 და 2019 წლების განმავლობაში შვილობილ კომპანიას არ განუხორციელებია ოპერაციები.

დედა კომპანია დაარსდა 2014 წლის 22 იანვარს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. ის რეგისტრირებულია საგადასახადო დეპარტამენტის თბილისის ოფისში, საიდენტიფიკაციო კოდით - 412695891.

დედა კომპანია თავის საქმიანობას წარმართავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე და მას ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი ("სებ").

ძირითადი საქმიანობის ფარგლებში ჯგუფი მომხმარებელს სთავაზობდა ონლაინ კრედიტებს და გასცემდა 300-დან 3,000 ლარამდე სესხებს, რომლის გადახდის პერიოდი მერყეობდა 2-36 თვემდე. 2019 წელს დედა კომპანიამ შეწყვიტა სესხების გაცემის პროცესი. დამატებითი ინფორმაცია გაშიფრულია მე-2 შენიშვნაში.

ქრიმ ფინანს ჰოლდინგი (კვიპროსი) არის ჯგუფის 100%-იანი წილის მფლობელი. 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ ჰყოლია საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

დედა კომპანიის მისამართია დოლიძის ქუჩა 5ა, თბილისი, საქართველო.

ბ) საქართველოს კანონმდებლობაში შესული ცვლილებები

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების - #281/04 მიხედვით, 2019 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ახალი რეგულაციები. აღნიშნული რეგულაციების მიხედვით ჯგუფს არ აქვს უფლება გასცეს სესხები მომხმარებლის გადახდისუნარიანობის ანალიზის გარეშე. ახალი რეგულაციის მიზანია უზრუნველყოს საქართველოს ფინანსური სისტემის სტაბილური და მდგრადი ოპერირება და წაახალისოს ჯანსაღი გარემო სესხის გაცემისთვის.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კლასიფიკაციის, აღიარებისა და დაანგარიშების პრინციპების პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც გაშიფრულია 23-ე განმარტებით შენიშვნაში. სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის ხელმძღვანელობამ გამოიყენა სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების, ფაქტებისა და გარემოებების და სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებული საუკეთესო ცოდნა.

ჯგუფი თავის ბუღალტრულ ჩანაწერებს აწარმოებს და სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში. თანხობრივი მაჩვენებლები სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია დამრგვალებების გარეშე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, ჯგუფის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები. ის მნიშვნელოვანი სფეროები, რომლებიც შეფასდა სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მათი ეფექტის შესახებ, მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ფუნქციონირებადი საწარმო

2019 წლის სექტემბრიდან ჯგუფმა შეწყვიტა სესხების გაცემა და ძირითადად ორიენტირებული იყო აღნიშნულ თარიღამდე გაცემული სესხების ამოღებაზე. სესხების გაცემის შეწყვეტის მთავარი მიზეზი იყო მნიშვნელოვანი აკუმულირებული ზარალი და ეროვნული ბანკის მხრიდან დადგენილი მკაცრი რეგულაციები. ხელმძღვანელობა ჯგუფის ლიკვიდაციას გეგმავს 2021 წლის ბოლოს. შედეგად, წინამდებარე სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ არის მომზადებული ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი არც ერთი აქტივის რეალიზაცია არ მოხდება მათ საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები თანხით. შესაბამისად, სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ დაკორექტირებულა აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება და არ შეცვლილა მათი კლასიფიკაცია. ასევე, არ მომხდარა ცვლილებები ვალდებულებების კლასიფიკაციაში. წინამდებარე სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ანარიცხის შეფასება

ქვემოთ მოცემულია ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული ძირითადი შეფასებები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (ზარალის) რეზერვების შეფასებაზე:

- დეფოლტის ალბათობა: დეფოლტის ალბათობა (PD) წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას. დეფოლტის ალბათობა არის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი.
- ზარალი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში: ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) არის შესაძლო ზარალის შეფასება, რომელიც წარმოიშვება დეფოლტის შემთხვევაში. იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც ელის კრედიტორი, სესხის უზრუნველყოფებიდან და კრედიტის ერთიანი გაზრდით მიღებული ნაღდი ფულის ნაკადების გათვალისწინებით

გადასახადები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ჯგუფი ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არაა. შედეგად ჯგუფი საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე, იმის შესახებ, ექნება თუ არა ადგილი დამატებით გადასახადების და პროცენტის დარიცხვას. ჯგუფი დარწმუნებულია, რომ მას შეუძლია თავისი საგადასახდო დეკლარაციების დასაბუთება, თუმცა მაინც თვლის, რომ არსებობს გარკვეული არეები დეკლარაციებში, რომელთა ამომწურავად დასაბუთება შესაძლოა ვერ მოხერხდეს საგადასახადო შემოწმებისას. შედეგად ჯგუფი ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ამასთან დაკავშირებული რისკები. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, ჯგუფი თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა არააუდიტირებული წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებს და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ფინანსური ინსტიტუტების მსგავსად, ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად ჯგუფი დგება სხვადასხვა რისკის წინაშე. ეს შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რომ მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ლიკვიდური ან მოკლევადიანია (სამ თვემდე ვადით), ითვლება, რომ მათი საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის.

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია, რომ შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ ჯგუფის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე. აღნიშნულ პოლიტიკებთან დაკავშირებული დამატებითი დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ. საქმიანობის პროცესში ჯგუფი დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
  - სავალუტო რისკი
  - საპროცენტო განაკვეთის რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე ჯგუფი დგება სესხების გაცემით და სხვა სახის ოპერაციებით, როდესაც ურთიერთობისას წარმოიშობა ფინანსური აქტივი.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა ონლაინ სესხების გაცემაა და შესაბამისად, საკრედიტო რისკი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ნებისმიერი ფინანსური ინსტიტუტების რისკების მართვაში. იმისათვის, რომ მსგავსმა შემთხვევებმა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ დააზარალოს, გამოიყენება სხვადასხვა სამუშაო მეთოდი, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დროულად იდენტიფიცირებასა და მათ ეფექტურად მართვას.

ჯგუფის საკრედიტო რისკის (იგულისხმება როგორც საბალანსო, ისე არასაბალანსო რისკები) მართვის მიზნით შემუშავებული აქვს ისეთი პოლიტიკები და პროცედურები, რომელიც მოიცავს პორტფელის კონცენტრაციის შეზღუდვის სახელმძღვანელო პრინციპებს და აყალიბებს საკრედიტო კომიტეტს, რომელიც აქტიურ მონიტორინგს უწევს საკრედიტო რისკს. საკრედიტო პოლიტიკა განიხილება და მტკიცდება ხელმძღვანელობის მიერ.

ჯგუფი რეგულარულად აკვირდება ინდივიდუალური სესხების საკრედიტო რისკებს და მუდმივად აფასებს კლიენტების კრედიტუნარიანობას. მიმოხილვა დაფუძნებულია განახლებულ ფინანსურ ინფორმაციაზე, რომელსაც იღებს საკრედიტო პერსონალი მონიტორინგის შედეგად. შემდეგ ინფორმაცია გადის რისკზე დაფუძნებულ შეფასებას საკრედიტო დეპარტამენტის მიერ.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმუმს. საანგარიშგებო პერიოდისათვის საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა იყო:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,008,629	3,952,716
გაცემული სესხები	6,175,755	19,093,196
სხვა აქტივები	216,802	16,428
	7,401,186	**23,062,340**

ჯგუფის საკრედიტო რისკი კლიენტებზე გაცემულ სესხებთან დაკავშირებით მოცემულია მე-8 შენიშვნაში.

დეფოლტის განსაზღვრება - ჯგუფი აღიარებს დეფოლტს იმ სესხებისთვის, რომლისთვისაც ქვემოთ მოცემულ რომელიმე მოვლენას ექნება ადგილი:

- 60 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- მსესხებლის გარდაცვალება ან დაკარგვა;
- ფორსმაჟორი, როცა კლიენტი ხდება გადახდისუუნარო გარე ფაქტორების გამო, რომელიც კონტროლს არ ექვემდებარება.

დეფოლტის დეფინიცია შესაბამისობაში რეგულაციებთან 60 დღიანი ვადაგადაცილების პრეზუმფციასთან ფასს 9-ს გათვალისწინებით.

ჯგუფი დეფოლტს აღიარებს გაუფასურებული სესხებისთვის.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა - იმის განსაზღვრისას, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის მოხდენის რისკი, მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ჯგუფი ითვალისწინებს გონივრულ და საჭირო ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი მიზანშეუწონელი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე. ეს მოიცავს რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ანალიზს, რომელიც დაფუძნებულია ჯგუფის წარსულ გამოცდილებაზე და ასევე მომავლის პროგნოზირებისთვის საჭირო ინფორმაციას.

რაოდენობრივი ინფორმაცია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია და ეფუძნება არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის ცვლილებას შემდეგი ორი მაჩვენებლის შედარებით:

- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა ანგარიშგების დღეს; და
- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა მოცემული დროის მონაკვეთში, რომლის შეფასებაც მოხდა იმ ფაქტებსა და მოვლენებზე დაყრდნობით რომელიც არსებობდა აღიარების მომენტში.

ჯგუფის აზრით საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ხდება არაუგვიანეს 1 დღიანი ვადაგადაცილებისა.

ჯგუფი რეგულარულად მიმოიხილავს შემდეგ ფაქტორებს, რათა დარწმუნდეს, რომ აღნიშნული კრიტერიუმები ეფექტურია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის მონიტორინგისას:

- კრიტერიუმებს აქვს უნარი გამოავლინონ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა დეფოლტის დადგომამდე;
- ადგილი არ აქვს დროში დამთხვევას (კრიტერიუმის მხრივ), როდესაც აქტივი ხდება 1 დღეზე მეტი ვადაგადაცილების; და
- არ ფიქსირდება რეზერვში არასასურველი მერყეობა 12 თვიან და არსებობის მანძილზე არსებულ დეფოლტის ალბათობებს შორის.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საპროგნოზო ინფორმაცია - ჯგუფი საპროგნოზო ინფორმაციას იყენებს, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შესაფასებლად, ისე ECL-ის გაზომვის დროს.

ECL -ის გაზომვა - ECL -ის გასაზომად გამოსაყენებელი ძირითადი ცვლადები არის ქვემოთ მოყვანილი ცვლილებების სტრუქტურა:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD);
- დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD).

აღნიშნული პარამეტრები, როგორც წესი შეფასებულია შიდა სტატისტიკური მოდელების და სხვა ისტორიული მონაცემთა ბაზის გამოყენებით. ისინი შექმნილია სამომავლო პროგნოზის ასახვის მიზნით, როგორც ზემოთ არის აღწერილი.

- დეფოლტის ალბათობა (PD)

PD მაჩვენებლები არის მაჩვენებლები კონკრეტული თარიღისთვის და გამოითვლება სტატისტიკური რეიტინგის მოდელების მიხედვით.

PD-ს შეფასება ხდება სახელშეკრულებო ვადის შესაბამისად წინასწარი გადახდის კოეფიციენტის გათვალისწინებით.

დეფოლტის ალბათობის განსაზღვრისთვის ჯგუფი იყენებს ბოლო 3 წლის სტატისტიკას.

- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD)

LGD გამოიყენება მოსალოდნელი დანაკარგის მოცულობის განსაზღვრისთვის, რომელიც შეიძლება წარმოიშვას დეფოლტის შემთხვევაში. ჯგუფი აფასებს LGD-ს პარამეტრებს სესხის აღდგენის ისტორიაზე დაყრდნობით დეფოლტის გამომწვევი მიზეზების საპირწონედ. LGD-ის მოდელი ითვალისწინებს მხოლოდ თანხის შემოდინებებს.

LGD გაანგარიშდება დისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, დისკონტირების ფაქტორის სახით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

- დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD)

EAD წარმოადგენს ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ მოსალოდნელ რისკს. ჯგუფი EAD-ს განსაზღვრავს ხელშემკვრელი მხარის მიმდინარე რისკზე და ხელშეკრულებით დაშვებული მიმდინარე თანხაში პოტენციურ ცვლილებებზე, მათ შორის ამორტიზაციაზე დაყრდნობით. ფინანსური აქტივის EAD არის მისი მთლიანი საბალანსო ღირებულება.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რომ მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით ჯგუფი მუდმივად ახორციელებს მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მონიტორინგს, რაც წარმოადგენს აქტივების/ვალდებულებების მართვის პროცესს. ლიკვიდურობის ანალიზი და საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოდგენილია მოცემულ ცხრილში, რომელიც დაფუძნებულია ჯგუფის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 2 წლამდე	სულ
მიღებული სესხები	1,537,464	-	-	**1,537,464**
სუბორდინირებული სესხები	362,538	441,226	4,790,456	**5,594,220**
სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები	**1,900,002**	**441,226**	**4,790,456**	**7,131,684**
სხვა ვალდებულებები	1,656,822	-	-	**1,656,822**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**3,556,824**	**441,226**	**4,790,456**	**8,788,506**

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 3 წლამდე	3 წელზე მეტი	სულ
მიღებული სესხები	10,090,758	873,691	5,696,169	-	**16,660,618**
სუბორდინირებული სესხები	156,319	422,062	1,125,499	4,582,388	**6,286,268**
სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები	**10,247,077**	**1,295,753**	**6,821,668**	**4,582,388**	**22,946,886**
სხვა ვალდებულებები	3,055,896	-	-	-	**3,055,896**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**13,302,973**	**1,295,753**	**6,821,668**	**4,582,388**	**26,002,782**

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი).

- **სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. ჯგუფი ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის ზეგავლენა ჯგუფზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	ევრო
ფული და ფულის ეკვივალენტები	906,269	102,360
გაცემული სესხები	6,175,755	-
სხვა აქტივები	216,802	-
სულ ფინანსური აქტივები	**7,298,826**	**102,360**

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები	ლარი	ევრო
მიღებული სესხები	594,770	942,694
სუბორდინირებული სესხები	-	4,417,617
სხვა ვალდებულებები	1,651,112	5,710
სულ ფინანსური ვალდებულებები	**2,245,882**	**5,366,021**
ღია საბალანსო პოზიცია	**5,052,944**	**(5,263,661)**

სავალუტო რისკის ზეგავლენა ჯგუფზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი	ევრო
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,348,674	-	2,604,042
გაცემული სესხები	19,093,196	-	-
სხვა აქტივები	16,428	-	-
სულ ფინანსური აქტივები	**20,458,298**	**-**	**2,604,042**
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	4,986,680	-	11,673,938
სუბორდინირებული სესხები	-	-	4,035,271
სხვა ვალდებულებები	3,000,644	1,087	54,165
სულ ფინანსური ვალდებულებები	**7,987,324**	**1,087**	**15,763,374**
ღია საბალანსო პოზიცია	**12,470,974**	**(1,087)**	**(13,159,332)**

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას ქართულ ლართან მიმართებით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების 20%-იან ზრდასა ან კლებაზე და წარმოადგენს ხელმძღვანელობის შეფასებას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებაზე. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოური ვალუტის დენომინირებულ ფულად სახსრებს და აკორექტირებს წლის ბოლოსთვის უცხოურ ვალუტის 20%-იანი საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიხედვით. მოგებაზე გავლენა მოგება/ზარალის უწყისსა და კაპიტალზე ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების საფუძველზე 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	(ლარი / დოლარი)		(ლარი / ევრო)	
	2019	**2018**	**2019**	**2018**
20% ზრდა	-	(217)	(1,052,732)	(2,631,866)
20% შემცირება	-	217	1,052,732	2,631,866

ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, მაგალითად საპროცენტო განაკვეთი, უცვლელია.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია საპროცენტო განაკვეთის რისკის გავლენა ჯგუფზე. იგი წარმოაჩენს ჯგუფის იმ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯამს 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელთაც შესაბამისად ერიცხებათ საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი.

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური აქტივები	7,184,384	23,045,912
სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები	(7,131,684)	(22,946,887)
საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის ღია პოზიცია	**52,700**	**99,025**

ინფორმაცია პროცენტის მატარებელ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე მოცემულია ზემოთ ლიკვიდურობის რისკის შენიშვნაში მოცემულ ინფორმაციაში.

ჯგუფი ახორციელებს საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის ანალიზს.

ჯგუფის ყველა პროცენტის მატარებელი აქტივის და ვალდებულების საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია, ამიტომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილება არ ახდენს გავლენას ჯგუფის შემოსავლებსა ან ხარჯებზე.

კაპიტალის მართვა

ჯგუფის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფა ისე, რომ ჯგუფმა გააგრძელოს ეფექტურად საქმიანობა;
- შეესაბამებოდეს სებ-ისა და მსესხებლის მიერ დადგენილ კაპიტალის მოთხოვნილებებს; და
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება აქციონერებისთვის.

ჯგუფი რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. ჯგუფი მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, ჯგუფმა შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

ჯგუფი ასევე ექვემდებარება მინიმალური კაპიტალის მოთხოვნებს, რომელიც დადგენილია მინთოს მარკეთფლეისთან გაფორმებულ სესხის ხელშეკრულებაში მითითებული კოვენანტებით, რომლებიც მოცემულია ქვემოთ:

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

მსესხებლის მიერ დადგენილი კოვენანტები:

- დადებითი კაპიტალის შენარჩუნება
- სესხის მომსახურების დაფარვის კოეფიციენტი - არანაკლებ 1.2
- დადებითი EBITDA
- ფულის განსაზღვრული მინიმალური ოდენობის შენარჩუნება
- ჯგუფი უფლებამოსილია, მსესხებლის წინასწარი თანხმობის გარეშე, გამოაცხადოს ან გადაიხადოს ნებისმიერი დივიდენდი ან შეიტანოს თანხა საწესდებო კაპიტალში, იმ შემთხვევაში თუ არც დივიდენდის გადახდამდე და არც გადახდის შემდგომ არ არღვევს ძირითად კოვენანტებს (იგულისხმება როგორც ფინანსური, ასევე სხვა კოვენანტები)
- ჯგუფმა უნდა შეინარჩუნოს სესხის თანხის მინიმუმ 5%
- ჯგუფი იყენებს ფასს-ებს და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების და განაგრძობს მათ შესაბამისად აღრიცხვას.

საანგარიშგებო წლის ბოლოს ჯგუფი არღვევდა კოვენანტების უმეტესობას. ჯგუფმა დაფარა მინთოს მარკეთფლეისისგან მიღებული სესხები საანგარიშო პერიოდის შემდეგ. დეტალური ინფორმაცია იხილეთ 22-ე შენიშვნაში.

5. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები

მიმდინარე და წინა პერიოდის მონაცემების შესადარისად წარსადგენად საჭიროებისამებრ მოხდა წინა პერიოდის მონაცემების რეკლასიფიკაცია. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რეკლასიფიკაციის ეფექტი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018 რეკლასიფიკაციამდე	რეკლასიფიკაცია	31 დეკემბერი 2018 რეკლასიფიცირებული
სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება			
სხვა შემოსავალი	529,679	(65,607)	**464,072**
გაუფასურებული სესხების გაყიდვიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	-	65,607	**65,607**

6. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი წარმოქმნილია:	**2019**	**2018**
გაცემული სესხებიდან	6,176,505	12,131,565
ბანკში განთავსებული თანხებიდან	121,882	31,417
სულ საპროცენტო შემოსავალი	**6,298,387**	**12,162,982**

საპროცენტო ხარჯი წარმოქმნილია:	**2019**	**2018**
დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხებიდან	(827,755)	(1,698,528)
სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხებიდან	(855,466)	(1,043,254)
სუბორდინირებული სესხებიდან	(215,463)	(15,632)
სულ საპროცენტო ხარჯი	**(1,898,684)**	**(2,757,414)**
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების რეზერვამდე	**4,399,703**	**9,405,568**

7. სხვა შემოსავალი

	2019	2018
პორტფელის დაზღვევიდან მიღებული წმინდა მოგება (მე-18 შენიშვნა)	-	306,879
შემოსავალი ზედმეტად მიღებული ფულადი სახსრებიდან	90,954	-
სხვა	42,231	157,193
	133,185	**464,072**

8. კომერციული ხარჯები

	2019	2018
ინტერნეტ რეკლამა	(86,037)	(313,514)
სატელევიზიო რეკლამა და სპონსორობა	(4,040)	(202,457)
სხვა	(10,369)	(26,596)
	(100,446)	**(542,567)**

9. ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

	2019	2018
ხელფასი	(805,307)	(846,016)
ბონუსი	(234,480)	(408,167)
	(1,039,787)	**(1,254,183)**

10. საერთო ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2019	2018
პორტფელის დაზღვევიდან მიღებული წმინდა ზარალი*	(536,731)	-
პრობლემური სესხების ამოღების ხარჯები	(247,540)	(893,157)
პროფესიული მომსახურება**	(188,272)	(185,503)
ურთიერთდაკავშირების პლატფორმის ხარჯები	(128,992)	(183,360)
სასესხო განაცხადების გამოკვლევის ხარჯები	(118,346)	(280,784)
იჯარა	(88,193)	(136,427)
კომუნიკაცია	(29,351)	(38,046)
სასამართლო ხარჯები	(22,142)	(194,169)
სხვა	(105,902)	(182,141)
	(1,465,469)	**(2,093,587)**

*დეტალური ინფორმაცია იხილეთ მე-18 შენიშვნაში.

**პროფესიული მომსახურება მოიცავს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარჯს, რომელიც 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის შესაბამისად შეადგენს 33,627 ლარს და 18,775 ლარს დღგ-ს ჩათვლით.

11. გაუფასურებული სესხების გაყიდვიდან მიღებული მოგება/(ზარალი)

	2019	2018
გასაყიდი ფასი	898,054	80,382
სულ გასაყიდი ფასი	**898,054**	**80,382**
სულ გაყიდული სესხების თავდაპირველი ღირებულება	(7,137,107)	(1,112,405)
სულ გაყიდული სესხების გაუფასურების რეზერვი	5,680,995	1,097,630
გაყიდული სესხების წმინდა ღირებულება	**(1,456,112)**	**(14,775)**
გაუფასურებული სესხების გაყიდვიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	**(558,058)**	**65,607**

12. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე ლარში	881,194	1,256,323
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე სხვა ვალუტაში	102,360	2,604,042
ფული გზაში*	25,075	92,351
	1,008,629	**3,952,716**

*ფული გზაში მოიცავს ქვეკონტრაქტორების სალაროებში არსებულ ფულად სახსრებს, რომლებსაც იხდიან მომხმარებლები გადახდის ტერმინალებში. აღნიშნული თანხები ჯგუფს მოგვიანებით გადაეცემა პროვაიდერებს საშუალებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები ვალუტების მიხედვით გაშიფრულია მე-4 შენიშვნაში.

13. გაცემული სესხები

გაცემული სესხები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	გრძელვადიანი	საკრედიტო ხაზი	დამხმარე	სულ
მთლიანი გაცემული სესხები	5,163,490	5,033,159	1,555,056	**11,751,705**
მინუს: ანარიცხი გაუფასურების ზარალისთვის	(2,813,871)	(1,684,701)	(1,077,378)	**(5,575,950)**
	2,349,619	**3,348,458**	**477,678**	**6,175,755**

13. გაცემული სესხები (გაგრძელება)

გაცემული სესხები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	საკრედიტო ხაზი	დამხმარე	სულ
მთლიანი გაცემული სესხები	2,605,439	12,033,172	11,302,813	2,409,614	**28,351,038**
მინუს: ანარიცხი გაუფასურების ზარალისთვის	(2,374,688)	(3,380,498)	(2,075,141)	(1,427,515)	**(9,257,842)**
	230,751	**8,652,674**	**9,227,672**	**982,099**	**19,093,196**

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	გრძელვადიანი	საკრედიტო ხაზი	დამხმარე	სულ
მიმდინარე და 31 დღემდე ვადაგადაცილებული	2,144,810	3,298,985	405,670	**5,849,465**
31-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებული	88,890	58,795	34,473	**182,158**
60 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული	2,929,790	1,675,379	1,114,913	**5,720,082**
სულ გაცემული სესხები	**5,163,490**	**5,033,159**	**1,555,056**	**11,751,705**
მინუს გაუფასურების რეზერვი	(2,813,871)	(1,684,701)	(1,077,378)	**(5,575,950)**
წმინდა გაცემული სესხები	**2,349,619**	**3,348,458**	**477,678**	**6,175,755**

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	საკრედიტო ხაზი	დამხმარე	სულ
მიმდინარე და 31 დღემდე ვადაგადაცილებული	-	8,982,389	9,654,306	1,182,928	**19,819,623**
31-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებული	-	265,834	308,636	270,783	**845,253**
60 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული	2,605,439	2,784,949	1,339,871	955,903	**7,686,162**
სულ გაცემული სესხები	**2,605,439**	**12,033,172**	**11,302,813**	**2,409,614**	**28,351,038**
მინუს გაუფასურების რეზერვი	(2,374,688)	(3,380,498)	(2,075,141)	(1,427,515)	**(9,257,842)**
წმინდა გაცემული სესხები	**230,751**	**8,652,674**	**9,227,672**	**982,099**	**19,093,196**

13. გაცემული სესხები (გაგრძელება)

ცვლილებები სესხის გაუფასურების ანარიცხებში შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	საკრედიტო ხაზი	დამხმარე	სულ
2017 წლის 31 დეკემბერი	**4,629,282**	**717,497**	**62,722**	**193,026**	**5,602,527**
ფასს 9 კორექტირება გაუნაწილებელ მოგებაზე	832,466	456,420	47,029	60,934	**1,396,849**
2018 წლის 1 იანვარი	**5,461,748**	**1,173,917**	**109,751**	**253,960**	**6,999,376**
წმინდა ცვლილება წლის განმავლობაში	463,857	2,529,940	2,017,386	1,199,646	**6,210,829**
ჩამოწერები წლის განმავლობაში	(3,550,917)	(323,359)	(51,996)	(26,091)	**(3,952,363)**
2018 წლის 31 დეკემბერი	**2,374,688**	**3,380,498**	**2,075,141**	**1,427,515**	**9,257,842**
წმინდა ცვლილება წლის განმავლობაში	(222,516)	1,142,655	685,472	393,491	**1,999,102**
ჩამოწერები წლის განმავლობაში (პორტფელის გაყიდვა)	(2,152,172)	(1,709,282)	(1,075,912)	(743,628)	**(5,680,994)**
2019 წლის 31 დეკემბერი	**-**	**2,813,871**	**1,684,701**	**1,077,378**	**5,575,950**

14. სხვა აქტივები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გაყიდული სესხის პორტფელიდან წარმოქმნილი მოთხოვნა	196,070	6,509
სხვა	20,732	9,919
	216,802	**16,428**

15. საგადასახადო აქტივი

საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების თანახმად, გადასახადები გადაიხდება გაერთიანებულ სახაზინო ანგარიშზე. ამის შედეგად ჯგუფის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო საფუძველზე სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელიც მომზადებულია 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

16. გადასახადები

დროებით სხვაობებში ცვლილებების საგადასახადო ეფექტი აღრიცხული 15%-ანი განაკვეთით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

15%-იანი დროებითი სხვაობები გამოწვეულია:	31 დეკემბერი 2017	გამოკლებული (დამატებული) სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	31 დეკემბერი 2018	გამოკლებული (დამატებული) სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	31 დეკემბერი 2019
გაცემული სესხები	**840,379**	548,297	**1,388,676**	(552,284)	**836,392**
ძირითადი საშუალებები	-	-	-	-	-
სხვა აქტივები	-	-	-	-	-
მიღებული სესხები	**28,304**	(18,525)	**9,779**	29,894	**39,673**
სხვა ვალდებულებები	**231,460**	207,413	**438,873**	(197,438)	**241,435**
წინა წლებში დაგროვილი ზარალი	**478,947**	(284,158)	**194,790**	282,316	**477,107**
გადავადებული საგადასახადო აქტივი	**1,579,090**	**453,027**	**2,032,118**	**(437,512)**	**1,594,607**
	-	-	-	-	-
აუღიარებელი დროებითი სხვაობები					
გაცემული სესხები	-	(1,388,676)	**(1,388,676)**	552,284	**(836,392)**
მიღებული სესხები	-	(9,779)	**(9,779)**	(29,894)	**(39,673)**
სხვა ვალდებულებები	-	(438,873)	**(438,873)**	197,438	**(241,435)**
წინა წლებში დაგროვილი ზარალი	-	-	-	(477,107)	**(477,107)**
	-	**(1,837,328)**	**(1,837,328)**	**242,722**	**(1,594,607)**
წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივი	**1,579,090**	**(1,384,301)**	**194,790**	**(194,790)**	-

გადავადებული საგადასახადო აქტივი არ არის აღიარებული გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის დროებითი სხვაობების საფუძველზე, რადგან ხელმძღვანელობა სჯერა, რომ ვერ შეძლებს აღნიშნული აქტივის გამოყენებას.

მოგების გადასახადის ხარჯი 2019 და 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
მიმდინარე მოგების გადასახადი	-	-
დროებითი სხვაობების ეფექტი	(194,790)	(1,384,301)
	(194,790)	**(1,384,301)**

16. გადასახადები (გაგრძელება)

მოგების გადასახადის ხარჯის რეკონსილაცია დადგენილი განაკვეთის მიხედვით შემდეგნაირია:

	2019	2018
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	**(938,653)**	**300,990**
საგადასახადო განაკვეთი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი/(სარგებელი)	**140,798**	**(45,149)**
აუღიარებელი საგადასახადო აქტივის ეფექტი	242,722	-
მუდმივი სხვაობების ეფექტი	(578,310)	(1,339,152)
	(194,790)	**(1,384,301)**

17. მიღებული სესხები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მიღებული სესხები	1,488,440	16,595,426
დარიცხული პროცენტი	49,024	65,192
	1,537,464	**16,660,618**

მიღებული სესხების სახელშეკრულებო ვადების და სავალუტო ანალიზი მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

შემდეგ ცხრილში მოცემულია მიღებული სესხების დასაფარი ნაშთი და დარიცხული პროცენტი 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

		31 დეკემბერი 2019		31 დეკემბერი 2018	
	ვალუტა	მიღებული სესხი	დარიცხული პროცენტი	მიღებული სესხი	დარიცხული პროცენტი
შპს ქრიმ ფინანს ჰოლდინგი*	ევრო	898,660	44,034	9,972,917	21,231
მინთოს მარკეთფლეისი**	ლარი	589,780	4,990	4,950,032	36,648
მინთოს მარკეთფლეისი**	ევრო	-	-	1,672,477	7,313
		1,488,440	**49,024**	**16,595,426**	**65,192**

*შპს ქრიმ ფინანს ჰოლდინგისგან აღებული სესხების საპროცენტო განაკვეთი არის 14%. ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით სესხის დაფარვა ხდება მოთხოვნის საფუძველზე.

**საკუთარი ბიზნესის დაფინანსებისათვის ჯგუფს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება მინთოს მარკეთფლეისთან. აღნიშნული კომპანია არის ურთიერთდაკავშირების პლატფორმა, რომელიც ინვესტორებს და მსესხებლებს აკავშირებს არასაბანკო გამსესხებლებთან. ეს არის ტრადიციული საბანკო სისტემის მარტივი და გამჭირვალე ალტერნატივა.

მინთოსის დახმარებით ინვესტორებს საშუალება ემლევათ ევროპის მასშტაბით გაცემული სესხები დააფინანსონ. ამავდროულად, სესხის გამცემს (ამ შემთხვევაში ჯგუფს), მინთოსის საშუალებით შეუძლია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს ინვესტორებს, რომლებსაც სურთ არსებული სესხების დაფინანსება.

მინთოს მარკეთფლეისის საშუალებით მიღებული სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი ლარში არის 16.5% და ევროში 9%. დაფარვის ვადა პლათფორმაზე განთავსებული სესხებისთვის განსხვავებულია და მერყეობს ერთიდან 24 თვემდე.

17. მიღებული სესხები (გაგრძელება)

სუბორდინირებული სესხები შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მიღებული სესხი	4,202,154	4,019,639
დარიცხული პროცენტი	215,463	15,632
	4,417,617	**4,035,271**

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს ქრიმ ფინანს ჰოლდინგისგან აღებული სუბორდინირებული სესხების საპროცენტო განაკვეთი არის 14%.

ფინანსური აქტივობებიდან წარმოქმნილი ცვლილებები მიღებულ და სუბორდინირებულ სესხებში, რომელიც მოიცავს, როგორც ფულად ასევე არაფულად ნაკადებს, შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	2019	2018
ნაშთი წლის დასაწყისში	**20,695,889**	**21,237,791**
ფულადი ნაკადები	(16,721,132)	743,857
არაფულადი ნაკადები:		
რეკლასიფიკაცია სხვა ვალდებულებებში (შენიშვნა 18)	(126,345)	-
პერიოდის განმავლობაში დარიცხული პროცენტი	1,898,684	2,757,414
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი	255,137	(482,552)
კაპიტალში კონვერტირებული სესხი	-	(3,500,000)
სხვა	(47,152)	(60,621)
ნაშთი წლის ბოლოს	**5,955,081**	**20,695,889**

18. სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სხვა ფინანსური ვალდებულებები:		
ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან*	956,983	-
სდს კონტრაქტებიდან წარმოქმნილი ვალდებულება*	509,739	2,883,471
შუალედური ანგარიში**	126,345	-
გაწეულ მომსახურებებთან დაკავშირებული ვალდებულებები	47,260	130,080
გადასახდელი ხელფასი	16,495	42,345
	1,656,822	**3,055,896**
სხვა არაფინანსური ვალდებულებები:		
ზედმეტად მიღებული ფულადი სახსრები	151,989	277,964
სულ სხვა ვალდებულებები	**1,808,811**	**3,333,860**

*2019 და 2018 წლის განმავლობაში ჯგუფსა და RRM Ltd-ის შორის გაფორმდა სდს (საკრედიტო დეფოლტ სვოპი) კონტრაქტები. ამ კონტრაქტების მიხედვით, ჯგუფმა აიღო ვალდებულება, რომ 2019 წელს გადაიხდიდა ფიქსირებულ გადასახადს ჯამურად 656,335 ლარის ოდენობით. ამავდროულად, მეორე მხარემ აიღო ვალდებულება, რომ ანგარიშსწორების დღეს შეისყიდიდა დაუფარავი სესხების ძირს, საკომისიოსა და ჯარიმებს.

18. სხვა ვალდებულებები (გაგრძელება)

შედეგად, ანგარიშსწორების დღეს დაუფარავი სესხის ძირმა, საკომისიომ და ჯარიმების ოდენობამ შეადგინა 293,021 ლარი და ვადაგადაცილებული პორტფელისთვის დაზღვევისთვის შეთანხმებული თანხა 363,314 ლარის ოდენობით, აღიარდა როგორც მოთხოვნა სესხის პორტფელის დაზღვევიდან.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში RRM Ltd-ის ვალდებულება გაიზარდა 852,178 ლარით, რომელიც შედგება გაყიდულ სესხზე დაგვიანებით შემოსული თანხებისგან.

2019 წელს ჯგუფმა სესხის პორტფელის დაზღვევასთან დაკავშირებული ვალდებულების ნაწილი, ჯამურად 3,518,931 ლარის ოდენობით, გადასცა დედა კომპანიას. ზემოთხსენებული ვალდებულება ფულადი საშუალებების გადარიცხვის შედეგად შემცირდა 2,561,949 ლარით. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან წარმოქმნილი ვალდებულებები მოიცავს დედა კომპანიის მიმართ წარმოქმნილ ვალდებულებას 956,983 ლარის ოდენობით.

2018 წლის განმავლობაში სდს კონტრაქტების მიხედვით, ჯგუფმა აიღო ვალდებულება, რომ გადაიხდიდა ფიქსირებულ გადასახადს ჯამურად 3,580,826 ლარის ოდენობით. ამავდროულად, მეორე მხარემ აიღო ვალდებულება, რომ ანგარიშსწორების დღეს შეისყიდიდა დაუფარავი სესხების ძირს, საკომისიოსა და ჯარიმებს. შედეგად, ანგარიშსწორების დღეს დაუფარავი სესხის ძირმა, საკომისიომ და ჯარიმების ოდენობამ შეადგინა 3,887,705 ლარი და ვადაგადაცილებული პორტფელისთვის დაზღვევისთვის შეთანხმებული თანხა 306,879 ლარის ოდენობით, აღიარდა როგორც მოთხოვნა სესხის პორტფელის დაზღვევიდან.

**როგორც მე-17 შენიშვნაშია აღნიშნული, ჯგუფს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება მინთოს მარკეთფლეისთან. წლის ნებისმიერ დროს ჯგუფს აქვს გარკვეული რაოდენობის მოთხოვნები და ვალდებულებები ურთიერთდაკავშირების პლატფორმის მიმართ. მოთხოვნები წარმოიქმნება იმ მომენტში, როდესაც ინვესტორი აფინანსებს სესხს. ამავდროულად, ვალდებულება წარმოიქმნება მაშინ, როდესაც სესხი არის გადასახდელი და ჯგუფს აქვს ვალდებულება პლატფორმას გადაურიცხოს თანხა. ზემოხსენებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების ნეტო თანხა ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში წარდგენილია შუალედური ანგარიშის სახით. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ურთიერთდაკავშირების პლატფორმის შუალედურ ანგარიშზე ჰქონდა 126,345 ლარის უარყოფითი ბალანსი.

19. საწესდებო კაპიტალი

2019 წლის 27 აგვისტოს ერთადერთმა მფლობელმა, ქრიმ ფინანს ჰოლდინგმა (კვიპროსი) გაზარდა საწესდებო კაპიტალი 1,373,064 ლარით.

20. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავა

ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში დროდადრო მის მიმართ შესაძლოა წარმოიშვას გარკვეული საჩივარი ან სასამართლო დავა.

ჯგუფის კლიენტების მხრიდან სესხის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ჯგუფი იწყებს სასამართლო დავას კლიენტის წინააღმდეგ. ასეთი დავის უმაღლესი შესაძლო შედეგი არის კლიენტისგან მისაღები სესხის თანხა (მოიცავს დარიცხულ პროცენტს და სხვა ხარჯებს).

გამომდინარე იქიდან, რომ ყველა კლიენტის მიერ სასესხო ვალდებულების დაფარვა ხასიათდება განუსაზღვრელობით, ჯგუფი ქმნის ანარიცხს სესხების გაუფასურებისთვის, რომელზეც ინფორმაცია მოცემულია მე-13 შენიშვნაში.

კოვენანტებთან შესაბამისობა

ჯგუფი ექვემდებარება კოვენანტებს, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია მიღებულ სესხებთან. ამგვარი კოვენანტების შეუსრულებლობა იწვევს უარყოფით შედეგებს, მათ შორის გაკოტრებას. ჯგუფი ვერ აკმაყოფილებდა კოვენანტების უმრავლესობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (დამატებითი ინფორმაცია მოცემულია მე-4 შენიშვნაში).

21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ ჯგუფთან (მათ შორის, დამფუძნებელ ორგანიზაციასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს ჯგუფში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს ჯგუფზე;

(ბ) ჯგუფის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ)მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობთ და საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მუხლი	მფლობელი	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ	უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება
სხვა აქტივები	-	7,401	-
მიღებული სესხები	942,694	-	-
სუბორდინირებული სესხები	4,417,617	-	-
სხვა ვალდებულებები	956,983	538,416	-
საპროცენტო ხარჯი	(1,043,218)	-	-
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	-	-	(235,678)
საერთო ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	-	(619,873)	(5,290)

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითა და საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მუხლი	მფლობელი	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ	უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება
მიღებული სესხები	9,994,148	-	-
სუბორდინირებული სესხები	4,035,271	-	-
სხვა ვალდებულებები	-	2,904,191	29,529
საპროცენტო ხარჯი	(1,714,161)	-	-
სხვა შემოსავლები	-	306,930	-
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	-	-	(194,804)
საერთო ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	-	(37,294)	(3,999)

22. ბალანსის შემდგომი მოვლენები

მინთოს მარკეთფლეისისგან მიღებული სესხების და ვალდებულებების დაფარვა - 2020 წლის 20 იანვრამდე ჯგუფმა სრულად გადაიხადა ლარში მიღებული სესხი 594,770 ლარისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულებები 131,126 ლარის ოდენობით.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ინსტრუმენტები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფმა მიიღო ბასსკ-ის მიერ 2014 წლის ივლისში გამოშვებული ფასს 9, საწყისი აღიარების თარიღით (2018 წლის 1 იანვარი). ფასს 9-ის მიღება აისახა ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების აღიარების, კლასიფიკაციისა და შეფასების, ასევე ფინანსური აქტივების გაუფასურების სააღრიცხვო პოლიტიკების ცვლილებაში.

ფასს 9 მოიცავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის სამ მნიშვნელოვან კატეგორიას: ამორტიზირებული ღირებულებით, რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფასს 9-ის მიხედვით კლასიფიკაცია ზოგადად ეფუძნება ჯგუფის ბიზნეს მოდელს. სტანდარტი აუქმებს ბასს 39-ის შემდეგ კატეგორიებს: დაფარვის ვადამდე ფლობილი, სესხები და მოთხოვნები და გასაყიდად გამიზნული.

ფასს 9 იყენებს ბასს 39-ის არსებული მოთხოვნების უმრავლესობას ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებისთვის.

ფასს 9 ანაცვლებს „გაწეული ზარალის“ მოდელს ბასს 39-ში, “მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის” მოდელით. ახალი გაუფასურების მოდელი ასევე გამოიყენება კონკრეტულ სასესხო ვალდებულებებთან და ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებებთან მიმართებაში, და არა კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციებისთვის. ფასს 9-ის თანახმად, საკრედიტო ზარალის აღიარება ხდება უფრო ადრე, ვიდრე ბასს 39-ის შემთხვევაში.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აისახება ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში.

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება ფასდება რეალური ღირებულებით, დამატებული ან გამოკლებული გარიგების ის დანახარჯები (ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების შემთხვევაში, რომელიც შეფასებული არ არის რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან, ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან. გარიგების ის დანახარჯები, რომელიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული მოგება ან ზარალში რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებების შესყიდვასთან იმავდროულად უნდა აღიარდეს მოგება ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას და შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთად: შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივები ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ერთდროულად კმაყოფილდება შემდეგი ორი გარემოება:

- ჯგუფი აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და პროცენტის გადახდას ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, თუ ის აკმაყოფილებს მომდევნო ორ პირობას და არ ექვემდებარება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით ასახული აქტივის პირობას:

- ჯგუფი აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და პროცენტის გადახდას ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების კატეგორია და საბალანსო ღირებულება ბასს 39 და ფასს 9-ის მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ბასს 39		ფასს 9	
ფინანსური აქტივები	შეფასების კატეგორია	საბალანსო ღირებულება	შეფასების კატეგორია	საბალანსო ღირებულება
ფული და ფულის ეკვივალენტები	ამორტიზებული ღირებულება	747,910	ამორტიზებული ღირებულება	747,910
კლიენტებზე გაცემული სესხები	ამორტიზებული ღირებულება	16,423,371	ამორტიზებული ღირებულება	15,026,522
სხვა აქტივები	ამორტიზებული ღირებულება	26,638	ამორტიზებული ღირებულება	26,638

ბიზნეს მოდელის შეფასება - ჯგუფი ახდენს ბიზნეს მოდელის მიზნის შეფასებას, რომელშიც უზრუნველყოფილია ფინანსური აქტივი პორტფელის დონეზე, რადგან ეს საუკეთესოდ ასახავს ბიზნესის მართვის ფორმას და ხელმძღვანელობას ეგზავნება ინფორმაცია. მოცემული ინფორმაცია მოიცავს:

- დადგენილ პოლიტიკებს და მიზნებს პორტფელისთვის და ამ პოლიტიკების პრაქტიკაში მოქმედებას. ეს განსაზღვრავს მიმართულია თუ არა ხელმძღვანელობის სტრატეგია სახელშეკრულებო საპროცენტო შემოსავლის მიღებაზე, კონკრეტული საპროცენტო გადაკვეთის პორტფელის უზრუნველყოფაზე, ფინანსური აქტივების ხანგრძლივობის ნებისმიერი დაკავშირებული ვალდებულების ხანგრძლივობასთან შესაბამისობაზე ან ფულადი სახსრების გადინებასა და ფულადი ნაკადების განხორციელებაზე აქტივების გაყიდვის გზით;
- რამდენად არის შეფასებული და ჯგუფის ხელმძღვანელობისთვის ანგარიშგებული პორტფელის მაჩვენებლები;
- რისკებს, რომლებიც მოქმედებენ ბიზნესის მოდელის მაჩვენებლებზე (და ამგვარ ბიზნეს მოდელში შემავალ ფინანსურ აქტივებზე) და რამდენად იმართება ეს რისკები;
- რამდენად არიან ანაზღაურებული საქმიანობის მენეჯერები - მაგ. თუ კომპენსაცია ეფუძნება მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ან მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს; და
- ფინანსური აქტივების გაყიდვების სიხშირეს, მოცულობას და ვადებს წინა პერიოდებში, ამგვარი გაყიდვების და მომავალი გაყიდვების მოლოდინების მიზეზებს.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შეფასება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს (SPPI) - ამ შეფასების მიზნებისთვის „ძირი“ განისაზღვრება როგორც საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივის რეალურ ღირებულებად. პროცენტი განისაზღვრება, როგორც ფულის დროითი ღირებულებისა და დარჩენილ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის ანაზღაურება კონკრეტული პერიოდის განმავლობაში. ის შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს სესხის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ძირითადი რისკების (მაგალითად, ლიკვიდობის რისკი) და დანახარჯების (მაგალითად, ადმინისტრაციულ დანახარჯებს) კომპენსაციას, რაც დაკავშირებულია დროის გარკვეულ პერიოდში ფინანსური აქტივის შენარჩუნებასთან. ასევე საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამის მოგების მარჟასაც.

იმის შეფასებისას, წარმოადგენენ თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს, ჯგუფი აფასებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს წარმოადგენს იმის შეფასებას, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობებს, რომლებიც შესაძლოა ცვლიდეს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადებს ან თანხებს, რომელიც არ შეესაბამება SPPI-ის პირობებს. შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს:

- გაუთვალისწინებელ მოვლენას, რომელიც შეცვლის ფულადი ნაკადების თანხას ან ვადებს;
- ვადები, რომლებსაც შეუძლიათ შეცვალონ სახელშეკრულებო კუპონური განაკვეთი, ცვლადი განაკვეთის ფუნქციის ჩათვლით;
- ავანსი და გახანგრძლივების ფუნქცია; და
- პირობები, რომლებიც ზღუდავენ ჯგუფის მოთხოვნას ფულად ნაკადებზე კონკრეტული აქტივებიდან (მაგ. არასასურველი თვისებები).

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება სალაროში არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისგან და ბანკებში არსებული შეუზღუდავი მიმდინარე ანგარიშებისაგან, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა 3 თვეზე ნაკლებია. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

კლიენტებზე გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები

კლიენტებზე გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მოიცავს ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს. ისინი თავდაპირველად რეალური ღირებულებით აღიარდება ნარჩენი პირდაპირი გარიგების ხარჯების დამატებით, და შემდგომში მათი ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალებისთვის (ECL) ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე.

გარდა შემენილი ან წარმოშობილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივებისა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უნდა შეფასდეს თანხით, რომელიც ტოლია:

- 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, ანუ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, რომელიც წარმოიშვება ფინანსური ინსტრუმენტების დეფოლტის შემთხვევაში საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის ვადაში (იწოდება, როგორც პირველი ეტაპი); ან
- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე, ანუ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშვება ფინანსური ინსტრუმენტების დეფოლტის შემთხვევაში ამ ფინანსური ინსტრუმენტების მოქმედების ვადაში (იწოდება, როგორც მეორე და მესამე ეტაპი).

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი საჭიროა შეიქმნას იმ ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომელთა საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, მოსალოდნელი სარკედიტო ზარალი იზომება თანხით, რომელიც ტოლია 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა.

სხვა დებიტორული დავალიანების რეზერვი იანგარიშება თანხით, რომლებიც ტოლია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა არსებობის მანძილზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს საკრედიტო დანაკარგების მიმდინარე ღირებულების ალბათურ-შეწონილ შეფასებას. იგი იზომება, როგორც ახლანდელი ღირებულება სხვაობისა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ღირებულებასა და მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის, რომელიც გამოითვლება სხვადასხვა სამომავლო ეკონომიკური სცენარის დისკონტირებული აქტივების ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს საკრედიტო ზარალების სავარაუდოდ შეწონილ შეფასებას. საკრედიტო ზარალი ფასდება ფულადი სახსრების ნაკლებობის მიმდინარე ღირებულებით.

გაუფასურებული ფინანსური აქტივი - ფინანსური აქტივი მიიჩნევა (საკრედიტო რისკით) გაუფასურებულ ფინანსურ აქტივად, თუ მომხდარია ერთი ან მეტი ისეთი მოვლენა, რომელმაც უარყოფითი გავლენა იქონია ამ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების მტკიცებულებებს განეკუთვნება, მაგალითად დაკვირვებადი (ემპირიული) მონაცემები შემდეგი მოვლენების შესახებ:

- ემიტენტის ან მსესხებელი საწარმოს მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები;
- სახელშეკრულებო პირობების დარღვევა, როგორიცაა, მაგალითად ძირი თანხის ან პროცენტის გადაუხდელობა, ან გადახდის ვადაგადაცილება;
- როდესაც კრედიტორ(ებ)ი, თავისი მსესხებლის ფინანსურ სიძნელეებთან დაკავშირებული ეკონომიკური ან სახელშეკრულებო მიზეზების გამო, მსესხებელს ისეთ დათმობებს სთავაზობს (სთავაზობენ), რასაც სხვა შემთხვევაში არ გაითვალისწინებდა (გაითვალისწინებდნენ);
- მოცემული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაქრობა ფინანსური სიძნელეების გამო; ან
- ფინანსური აქტივის შეძენა ან შექმნა დიდი ფასდათმობით, რაც განცდილ საკრედიტო ზარალს ასახავს.

სესხი ითვლება საკრედიტო რისკით გაუფასურებულად, როდესაც მსესხებელს ეძლევა შეღავათი მისი ფინანსური მდგომარეობის გაუარესების გამო, თუკი არ არსებობს დამადასტურებელი ფაქტი, რომ დათმობის შედეგად ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაღდი ფულის არ მიღების რისკი მნიშვნელოვნად მცირდება და არ არსებობს გაუფასურების სხვა ნიშნები. ფინანსური აქტივების შემთხვევაში, როდესაც განიხილება შეღავათები, მაგრამ არ ხდება მათი გამოყენება, აქტივი საკრედიტო რისკით გაუფასურებულად ითვლება, თუ არსებობს საკრედიტო რისკით გაუფასურების აშკარა დამადასტურებელი ფაქტი, დეფოლტის განსაზღვრების ჩათვლით.

დეფოლტის განსაზღვრება (იხილეთ ქვემოთ) გულისხმობს ვალის არ გადახდას, თუ ვალის გადახდა დაგვიანდა 60 ან მეტი დღით.

შეძენილი ან საწარმოს მიერ შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივები („POCI") - POCI ფინანსური აქტივები განსხვავებულად ფასდება. ჯგუფმა ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის მოგებაში ან ზარალში უნდა აღიაროს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილების ეკვივალენტური თანხა, როგორც გაუფასურების შემოსულობა ან ზარალი. ჯგუფმა აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ხელსაყრელი ცვლილებები უნდა აღიაროს, როგორც გაუფასურების შემოსულობა.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დეფოლტის განსაზღვრება - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განმარტების მიზნით უნდა განვსაზღვროთ, თუ რა არის დეფოლტი. დეფოლტის განსაზღვრება გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობის გასაზომად და ამის შესაფასებლად, ზარალის შეფასების რეზერვი ეფუძნება 12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რადგან დეფოლტი წარმოადგენს დეფოლტის ალბათობის კომპონენტს, რომელიც გავლენას ახდენს როგორც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სიდიდეების გაზომვაზე, ისე საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის გამოვლენაზე.

დეფოლტის სტატუსი გამოიყენება იმ სესხებისთვის, რომლისთვისაც ქვემოთ მოცემულ რომელიმე მოვლენას ექნება ადგილი:

- 60 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- ნაკლებ სავარაუდოა, რომ მსესხებელმა სრულად გადაუხადოს საკრედიტო ვალდებულება ჯგუფს.

დეფოლტი განმარტებულია ისე, რომ კარგად ასახოს სხვადასხვა ფინანსური აქტივების მახასიათებლები. იმის შეფასებისას, თუ რამდენად არსებობს იმის ალბათობა, რომ მსესხებელი არ შეასრულებს საკრედიტო ვალდებულებას, ჯგუფი ითვალისწინებს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლებს. რაოდენობრივი მაჩვენებლები, როგორიცაა იმავე მხარესთან სხვა ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილება და გადაუხდელობა, წარმოადგენს მთავარ მონაცემებს ასეთი ანალიზისთვის. ჯგუფი დეფოლტის შესაფასებლად იყენებს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებს, რომლებიც ან ჯგუფია დონეზეა შემუშავებული, ან გარეშე წყაროებიდანაა მოპოვებული.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა - ჯგუფი ახორციელებს ყველა იმ ფინანსური აქტივის მონიტორინგს, რომელიც ექვემდებარება გაუფასურების მოთხოვნას იმის შესაფასებლად, გაიზარდა თუ არა მნიშვნელოვნად საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ჯგუფი გაზომავს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს არსებობის მანძილზე.

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არის მიზანშეწონილი იმის დაშვება, რომ დაბალი საკრედიტო რისკის მქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში ანგარიშგების დღეს არ აღინიშნებოდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა. შედეგად, ჯგუფი ახორციელებს ყველა იმ ფინანსური აქტივის მონიტორინგს, რომლების უფასურდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვნად გაზრდის შემთხვევაში.

იმის განსაზღვრისას, გაიზარდა თუ არა მნიშვნელოვნად ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ჯგუფი ადარებს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული დეფოლტის რისკს ანგარიშგების დღეს ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის საფუძველზე. შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს როგორც რაოდენობრის, ისე ხარისხობრივ ინფორმაციას, რომლის გამოყენებაც მიზანშეწონილია არსებულ ვითარებაში. ასეთ ინფორმაციაში შედის: ჯგუფის ისტორიული გამოცდილება და საპროგნოზო ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია შეუსაბამოდ მაღალი ხარჯებისა და ზედმეტად დიდი მცდელობის გარეშე.

თავდაპირველი აღიარებისა და შემდგომ ანგარიშგების დღისთვის დეფოლტის ალბათობის განსაზღვრის მიზნით მნიშვნელოვანია რამდენიმე ეკონომიკური სცენარის გამოყენება. სხვადასხვა ეკონომიკური სცენარის გამოყენებით მიიღება დეფოლტის ალბათობის სხვადასხვა მნიშვნელოები. სწორედ მათი შეწონვის საფუძველზე დეფოლტის შეწონილი საშუალო სიდიდე, რომლის საფუძველზეც დგინდება, ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას.

ჯგუფი ანაწილებს მსესხებლებს შესაბამის შიდა საკრედიტო რისკის ჯგუფის მიხედვით, რომელიც დამოკიდებულია მათ საკრედიტო ხარისხზე. რაოდენობრივი ინფორმაცია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია და ეფუძნება არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის ცვლილებას შემდეგი ორი მაჩვენებლის შედარებით:

- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა ანგარიშგების დღეს; და

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა მოცემული დროის მონაკვეთში, რომლის შეფასებაც მოხდა იმ ფაქტებსა და მოვლენებზე დაყრდნობით რომელიც არსებობდა აღიარების მომენტში.

გამოყენებული დეფოლტის ალბათობა არის საპროგნოზო ინფორმაცია და ჯგუფი იყენებს იმავე მეთოდოლოგიას და მონაცემებს, რომელიც გამოიყენება ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დასაანგარიშებლად.

რაოდენობრივი ფაქტორები, რომლებიც მიუთითებენ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდაზე, ასახულია დეფოლტის ალბათობის მაჩვენებელზე დროულად. თუმცა, ჯგუფი ზოგიერთ ხარისხობრივ ფაქტორს იყენებს დამოუკიდებლად იმის შესაფასებლად, ნამდვილად მნიშვნელოვნად გაიზარა თუ არა საკრედიტო რისკი. ჯგუფი ითვალისწინებს ვალდებულების შესრულების გადავადების ალბათობას, საკრედიტო ქულებსა და ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა უმუშევრობა, გაკოტრება და გარდაცვალება.

იმის გათვალისწინებით, რომ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფარდობითი მაჩვენებელია, აბსოლუტური პირობებით, დეფოლტის ალბათობაში იგი უფრო მნიშვნელოვანი იქნება დაბალი საწყისი დეფოლტის ალბათობის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, ვიდრე მაღალი დეფოლტის ალბათობის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის.

აქტივის ერთდღიანი ვადაგადაცილებისას, ჯგუფი მიიჩნევს რომ მოხდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა და აქტივი გაუფასურების მოდელის მეორე ეტაპზე გაითვალისწინება, ე.ი. ხდება გაუფასურების რეზერვის დაანგარიშება ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი თანხით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეღავათების წარდგენა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის: როგორც აქტივების მთლიანი ღირებულებიდან გამოქვითვა;
- ფულად-სასესხო და ფინანსური გარანტიის კონტრაქტებისთვის: როგორც უზრუნველყოფა; და
- როდესაც ფინანსური ინსტრუმენტი შეიცავს როგორც წარმოდგენილ, ისე წარმოუდგენელ კომპონენტებს, ჯგუფს არ აქვს შესაძლებლობა, დაადგინოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) სესხის კომპონენტზე წარმოდგენილი კომპონენტისგან იზოლირებულად: ჯგუფი წარმოადგენს ზარალის შეფასების ერთობლივ რეზერვს ორივე კომპონენტისთვის. ერთიანი თანხა წარმოდგენილია, როგორც წარმოდგენილი კომპონენტის ერთიანი საანგარიშო ღირებულებიდან გამოქვითვა. ზარალის რეზერვის სიჭარბით შეფასება წარმოდგენილი კომპონენტის საერთო ოდენობაზე წარმოდგენილია, როგორც უზრუნველყოფა.

ფინანსური აქტივის მოდიფიცირება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის მოდიფიცირება ხდება, როდესაც ხდება ხელშეკრულების იმ პირობებზე ხელახალი მოლაპარაკება, რომლებიც არეგულირებს ფინანსური აქტივების ფულადი ნაკადების მოძრაობას ან ხდება ამ ხელშეკრულების პირობების შეცვლა ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარების მომენტიდან მათი გადახდის ვადის დადგომამდე პერიოდში.

ჯგუფი აწარმოებს ხელახალ მოლაპარაკებას იმ კლიენტებზე გაცემულ სესხებზე, რომელთაც შეექმნათ ფინანსური პრობლემები, რათა მაქსიმალურად გაზარდოს თანხების ამოღება და მინიმუმამდე შეამციროს დეფოლტის რისკი. სესხის პირობები იცვლება იმ შემთხვევაში, როცა მსესხებლის ყველა შესაძლო ძალისხმევის მიუხედავად, გადაეხადა სათანადო თანხები ხელშეკრულების თავდაპირველი პირობებით, არსებობს დეფოლტის დიდი რისკი და მოსალოდნელია, რომ მსესხებელი შეასრულებს ახალ პირობებს. განახლებული პირობები უმეტესწილად გულისხმობს სესხის დაფარვის ვადის გაგრძელებას, ფულადი ნაკადების (ძირი თანხისა და პროცენტის გადახდის) მოძრაობის ვადების შეცვლას, ფულადი ნაკადების ოდენობის შემცირებას და სხვა პირობების შეცვლას.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივის მოდიფიცირებისას ჯგუფი აფასებს, თუ რამდენად იწვევს მოდიფიკაცია აღიარების შეწყვეტას. ჯგუფის პოლიტიკის თანახმად, მოდიფიკაცია იწვევს აღიარების შეწყვეტას, როდესაც მის შედეგად ხელშეკრულებაში ჩნდება არსებითად განსხვავებული პირობები. იმის დასადგენად, თუ შეცვლილი პირობები რამდენად არსებითად განსხვავდება თავდაპირველი ხელშეკრულების პირობებისგან, ჯგუფი მხედველობაში იღებს შემდეგ ფაქტორებს:

- ხარისხობრივი ფაქტორები, როგორიცაა სახელშეკრულებო თანხების მოძრაობა, მოდიფიცირების შემდეგ აღარ აკმაყოფილებს მხოლოდ ძირი თანხისა და დარჩენილ ძირზე პროცენტის გადახდების კატეგორიას. ვალუტის ან ხელშეკრულების მხარის შეცვლას, საპროცენტო განაკვეთის შეცვლას, გადახდის ვადის დადგომას, მოლაპარაკებებს, თუ აღნიშნული ფაქტორები აშკარად არ მიუთითებს არსებით ცვლილებაზე.

- რაოდენობრივი შეფასება ტარდება დარჩენილი თავდაპირველი პირობებით მოცემული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების შედარებით განახლებული პირობებით მოცემული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებასთან. ამასთან, ორივე თანხა დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური პროცენტით.

იმ შემთხვევაში, თუ ხდება ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ხდება რეზერვის ხელმეორედ გაზომვა, რათა მოხდეს აღიარების შეწყვეტის დღეს აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულების დადგენა. სხვაობა ამგვარად განახლებულ საბალანსო ღირებულებასა და ახალი პირობებით ახალი ფინანსური აქტივის რეალურ ღირებულებას შორის გამოიწვევს სარგებლის ან ზარალის მიღებას აღიარების შეწყვეტისას. ახალ ფინანსურ აქტივს ექნება ზარალის რეზერვი, რომელიც გაზომილია 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე, გარდა იმ იშვიათი შემთხვევებისა, როცა ითვლება, რომ წარმოშობილი ახალი სესხი გაუფასურებულია საკრედიტო რისკით.

აღნიშნული მეთოდი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ხდება ახალი სესხის რეალური ღირებულების აღიარება მნიშვნელოვანი ფასდაკლებით განახლებული ნომინალური ღირებულებით, რადგან ამ შემთხვევაში არსებობს დეფოლტის მაღალი რისკი, რომელიც არ შემცირდა მოდიფიცირების შედეგად. ჯგუფი მონიტორინგს უწევს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკს, რა მიზნითაც აფასებს რაოდენობრივ და ხარისხობრივ ინფორმაციას, როგორიცაა მაგალითად ინფორმაცია იმის შესახებ, ახალი პირობების მიხედვით ხომ არ რჩება მსესხებელი ძველი სტატუსით.

როდესაც ხდება ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიცირება და ასეთი მოდიფიცირება არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, ჯგუფი ადგენს, ხომ არ გაიზარდა მნიშვნელოვნად ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების მომენტიდან.

ისეთი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, რომელთა მოდიფიცირებაც მოხდა ჯგუფის რესტრუქტურიზაციის პოლიტიკის ფარგლებში და აღნიშნულმა მოდიფიცირებამ არ გამოიწვია აღიარების შეწყვეტა, დეფოლტის ალბათობის შეფასება ასახავს ჯგუფის უნარს, მიიღოს მოდიფიცირებული ფულადი ნაკადები ჯგუფის წარსული გამოცდილების გათვალისწინებით რესტრუქტურიზაცია ანალოგიური მოქმედების განხორციელებისას და ასევე, ქცევითი ინდიკატორების გათვალისწინებით, მათ შორის მსესხებლის გადახდების ისტორიისა, ხელშეკრულების მოდიფიცირებული პირობების ფონზე. თუ საკრედიტო რისკი კვლავ მნიშვნელოვნად მაღალია მოსალოდნელ მნიშვნელობაზე თავდაპირველი აღიარების მომენტში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი კვლავაც შეფასდება იმ ოდენობით, რომელიც ტოლია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა არსებობის მანძილზე. გადაუხდელი სესხების რეზერვი როგორც წესი იზომება მხოლოდ 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე, როდესაც არსებობს იმის დამადასტურებელი ფაქტი, რომ მსესხებლის გადახდის უნარი გაუმჯობესდა მოდიფიცირების შემდგომ, რაც იწვევს წარსულში საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შეჩერებას.

იმ შემთხვევაში, როცა მოდიფიკაცია არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, ჯგუფი მოდიფიცირების სარგებელს/ზარალს ანგარიშობს ერთიანი საანგარიშო ღირებულების შედარებით მოდიფიკაციამდე და მას შემდეგ (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეღავათის გამოკლებით). შემდეგ ჯგუფი ზომავს მოდიფიცირებული აქტივის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, როდესაც მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის შედეგად წარმოშობილი მოსალოდნელი ფულადი ნაკადებიც

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მონაწილეობს თავდაპირველი აქტივის მოსალოდნელი ფულადი ნაკადებიც მონაწილეობს თავდაპირველი აქტივის მოსალოდნელი ფულადი დეფიციტის ანგარიშში.

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივის ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გაუვა, ან როდესაც ჯგუფი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების უფლებებს გადასცემს ოპერაციაში, რომელშიც ხდება არსებითად ყველა რისკის და ფინანსური აქტივის ფლობის სარგებელის გადაცემა ან რომელშიც ჯგუფი არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ყველა ან არსებითად ყველა რისკს და სარგებელს გადაცემულ აქტივებზე. ასეთ შემთხვევაში, გადაცემული აქტივების აღიარების შეწყვეტა არ ხდება.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება (მთლიანად ან ნაწილობრივ), სანამ არ იარსებებს ანაზღაურების რეალური პერსპექტივა. ეს ზოგადად არის შემთხვევა, როდესაც ჯგუფი განსაზღვრავს, რომ მსესხებელს არ ექნება აქტივები ან უზრუნველყოფილი შემოსავალი, რომლებიც შეძლებენ შესაბამისი ფულადი ნაკადების გენერირებას, ჩამოწერისთვის თანხების გადასახდელად. ამასთან, ფინანსური აქტივები, რომლებიც ჩამოიწერება შესაძლოა კვლავ იყოს აღსრულების საქმიანობის საგანი, ჯგუფის მიმართ მართებული თანხების ამოღების პროცედურების დასაკმაყოფილებლად.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფმა 2018 წლის 1 იანვრისთვის (ფასს 9-ის მიღების თარიღი) ყველა ფინანსური ვალდებულება დააკლასიფიცირა, როგორც „სხვა ფინანსური ვალდებულებები“. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს: სესხებს და სხვა მოკლევადიან ფულად ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გადახურვა

ჯგუფი ფინანსურ აქტივებისა და ვალდებულებების გადახურვას აკეთებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი გეგმავს ანგარიშსწორებას გადახურული ნაშთის საფუძველზე, ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფასს 13 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 13 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

ჯგუფს არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 13-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

საკრედიტო დეფოლტ სვოპი

საკრედიტო დეფოლტ სვოპი (სდს) არის ფინანსური გარანტიის ერთგვარი სახე, რომელიც ამცირებს მსესხებლებისგან სესხის გადაუხდელობის რისკს. სდს კონტრაქტების მიხედვით, ჯგუფი იღებს ვალდებულებას, გადაიხადოს ფიქსირებული გადასახადები, ხოლო მეორე მხარე იღებს ვალდებულებას ვადაგადაცილების შემთხვევაში ნომინალური ღირებულებით შეისყიდოს დაუფარავი სესხის ძირი, საკომისიო, საურავი და ჯარიმა.

სდს კონტრაქტის გაფორმების დღეს, ჯგუფი არ აღიარებს ვალდებულებას, რადგან არ არსებობს მიმდინარე ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება გასულ პერიოდში მომხდარი მოვლენებისგან. ამავდროულად, ჯგუფი არ აღიარებს გადავადებულ ხარჯს, რადგან ფაქტიური გადახდა ხორციელდება მხოლოდ სდს კონტრაქტის ანგარიშსწორების დღეს.

საანგარიშგებო თარიღისთვის ჯგუფი არ აღიარებს ფიქსირებულ გადასახადებს წრფივი დარიცხვის მეთოდით, რადგან ხელმძღვანელობის შეფასებით მეორე მხარის მიმართ წარმოქმნილი ფიქსირებული გადასახადები არსებითად არ განსხვავდება სესხების გაუფასურების ხარჯისგან, რომელიც ისედაც გაიანგარიშება სდს კონტრაქტში შემავალი სესხებისთვის და წლის განმავლობაში აღიარდება სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. სდს კონტრაქტთან დაკავშირებული წმინდა შემოსავლები და ხარჯები აღიარდება ანგარიშსწორების თარიღში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა (ამორტიზაციის) და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებზე (და არამატერიალურ აქტივებზე) ცვეთის (და ამორტიზაციის) დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში სისტემატურ საფუძველზე წრფივი მეთოდით:

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
კომპიუტერები და ტექნიკური აღჭურვილობა	5
იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	სალიზინგო ხელშეკრულება
სხვა ინვენტარი	5

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის.

მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, ჯგუფი აფასებს ყველა მიღებულ სესხს ამორტიზებადი ღირებულებით და ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა. ვალდებულების წარმომქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც ჯგუფმა უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქნება ჯგუფის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, ჯგუფი სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, ჯგუფი აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

ტერმინი "პირობითი ვალდებულება" გამოიყენება ვალდებულებებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყოფს შემდეგ კატეგორიებს:

- ანარიცხები - რომლებიც აღიარდება, როგორც ვალდებულება (იმ პირობით, რომ შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება), რადგან ისინი წარმოადგენენ მიმდინარე მოვალეობას და მოსალოდნელია, რომ მათ დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა; და
- პირობითი ვალდებულებები - რომლებიც არ აღიარდება, როგორც ვალდებულება, რადგან წარმოადგენს, ან:
  - შესაძლო მოვალეობებს, რადგან ჯერ კიდევ არაა დადასტურებული, გააჩნია თუ არა ჯგუფს მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესრულება გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლას; ან
  - მიმდინარე მოვალეობებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს (რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა, ან შეუძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება).

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი ვალდებულებები შეიძლება განვითარდეს თავდაპირველად მოსალოდნელისგან განსხვავებული სახით. ამიტომ ისინი ფასდება მუდმივად, რათა განისაზღვროს, ხომ არაა აუცილებელი ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა. იმ შემთხვევაში, თუ იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც განიხილებოდა პირობით ვალდებულებად, საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი იმ პერიოდში, როდესაც ასეთ ცვლილებას ექნება ადგილი (გარდა განსაკუთრებულად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია).

პირობითი აქტივები არ აისახება სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

დაბეგვრა

გადასახადის ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე და გადავადებული გადასახადისგან. გადასახადი აღიარებულია სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ შემთხვევის გარდა, თუ ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში. ამ შემთხვევაში გადასახადი ასევე აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში შესაბამისად.

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის ფაქტობრივად მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. ხელმძღვანელობა პერიოდულად ახდენს საგადასახადო მიდგომის გადახედვას კანონმდებლობაში არსებული სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაბამისად. ჯგუფი ქმნის ანარიცხებს თანხებზე, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით, დროებითი განსხვავებების წარმოქმნისას აქტივებსა და ვალდებულებებისგან წარმოქმნილ საგადასახადო ბაზასა და სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ საბალანსო მაჩვენებელს შორის. რადგან გადავადებული საგადასახადო აქტივი არ დაანგარიშდება, როდესაც აღიარდა აქტივი ან ვალდებულება, მას არ ექნება გავლენა არც ფინანსურ და არც საგადასახადო მოგება-ზარალზე.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადავადებული საგადასახადო აქტივი განისაზღვრება საგადასახადო განაკვეთით (და კანონმდებლობით) რომელიც ამოქმედდა ან არსებითად ამოქმედდა საბალანსო უწყისის თარიღისთვის და მოსალოდნელია მისი გამოყენება, როდესაც მასთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო აქტივი მიიღება ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულება წარმოიქმნება.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში (და იმ ოდენობით), როცა მოსალოდნელია, რომ მომავალში იარსებებს დასაბეგრი მოგება, რის ხარჯზეც მოხდება აღნიშნული აქტივის გაქვითვა. გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება გადაიხურება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მიმდინარე საგადასახადო აქტივის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებასთან გადახურვის სამართლებრივი უფლება, და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოშობილია ერთი და იმავე საგადასახადო კანონმდებლობის შედეგად, რომლის დროსაც აქტივის და ვალდებულების წმინდა თანხით წარდგენა შესაძლებელია.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

ყველა ფინანსური ინსტრუმენტისთვის, რომელიც აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სესხის გაცემის საკომისიოს და საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირებაა მომავალში გადასახდელი ან მისაღები შეფასებული ფულადი ნაკადები ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში ან, სადაც შესაფერისია, მოკლე პერიოდში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ნეტო საბალანსო ღირებულებამდე. ჯგუფი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებისთვის ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ხელშეკრულების ყველა პირობას, გარდა მომავალში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფი გადახედავს მის მოლოდინს გადახდილ ან მისაღებ ყველა სახის გადასახდელის შესახებ. კორექტირებული საბალანსო ღირებულება დაანგარიშდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საშუალებით და სხვაობა აღიარდება საპროცენტო შემოსავლად ან ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საპროცენტო შემოსავალი მოიცავს პროცენტს და გადახდილ ან გადასახდელ საკომისიოს, რომელიც გაითვალისწინება კლიენტებზე გაცემულ სესხებზე და საბანკო დეპოზიტებზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშებისას.

თუ ფინანსური აქტივის ან ერთგვაროვან აქტივთა ჯგუფის ღირებულება გაუფასურების ზარალის გამო მცირდება, საპროცენტო შემოსავალი გაანგარიშდება დღევანდელი ღირებულების გათვალისწინებით (რომელიც არის ღირებულებას გამოკლებული ღირებულების კორექტირება) და მისი აღიარება გრძელდება იმ საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გამოყენებულია მომავალი ფულადი ნაკადების დადისკონტირებისთვის გაუფასურების ხარჯის გასაზომად.

საპროცენტო ხარჯი მოიცავს სხვა მხარისგან აღებულ სესხებზე დარიცხულ პროცენტს ან საკუთარი ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

სხვა ჯარიმები და საკომისიოები, რომლებიც არ არის დაკავშირებული სესხების, ავანსებისა და სხვა მოთხოვნების შიდა უკუგების განაკვეთთან არ აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით, არამედ წრფივად გადანაწილდება პერიოდზე ან სრულად აღიარდება მიღების მომენტში. წრფივად გადანაწილება ან ერთჯერადად აღიარება დამოკიდებულია საკომისიოების და ჯარიმების შინაარსზე.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარა

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ორგანიზაცია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

ჯგუფი იყენებს ფასს 16-ს 2019 წლის 1 იანვრიდან. ჯგუფმა არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტზე გადასვლის გამო. შესაბამისად, შესადარისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება არ არის გადაანგარიშებული. ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა რელევანტურია 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშო პერიოდებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, მოიჯარემ უნდა გამოიყენოს მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი.

აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით და გაზრდილია შემდეგით:

- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე,
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის ან საიჯარო აქტივის აღსადგენად

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება იზრდება საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღის.

როდესაც ჯგუფი შეასწორებს იჯარის ვადის შეფასებას (მაგალითად, იჯარის ვადის გახანგძლივების ან შეწყვეტის უფლების გადახედვის შესახებ შეფასებას), ის აკორექტირებს საიჯარო ვალდებულებას განახლებული ვადის განმავლობაში წარმოქმნილი გადახდების მიხედვით, რომლიც დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განახლებული საპროცენტო განაკვეთის მიხედვით. საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება ასევე შესწორდება თუ ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებული ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით იცვლება. ორივე შემთხვევაში შესაბამისი თანხით კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება და შესწორებული საბალანსო ღირებულება გაიცვითება დარჩენილი (განახლებული) იჯარის ვადის პერიოდზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც ჯგუფის თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას ჯგუფის სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ, შეტანილია სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ჯგუფის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. გადაფასება წლის ბოლოს არ ეხება არაფულად მუხლებს კაპიტალში ინვესტიციების ჩათვლით. ფასიანი ქაღალდების გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული რეალური ღირებულების ცვლის ეფექტი აღიარდება, როგორც რეალური ღირებულების ცვლილებისას მიღებული შემოსავლის ან ხარჯის ნაწილი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისათვის არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	2.8677	3.2095
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	2.6766	3.0701